



რობერტ შავლაყაძე

შავლაყაძე

ROBERT SHAVLAKADZE

გიორგი ჩოჩიბერიძე

ქართული ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
გიორგი ჩოჩიშვილი

TEXT
Giorgi Chochishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ქელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი,
ბორის სვეტლანოვი, www.sportphoto.ge


PHOTO
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili,
Boris Svetlanov, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Athletics Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3417-6

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



რობერტ შავლაყაძე

2011

ერთხელ, პატარაობისას, როცა გაზეთის კითხვა უკვე შემეძლო, საკლასო ოთახში, ფანჯრის რაფაზე, „ლელოს“ ახალი ნომერი დავინახე, რომელიც მასწავლებელს დარჩენოდა. სწორედ იმ გაზეთიდან გავიგე რომის ოლიმპიადაზე რობერტ შავლაყაძის დიდი გამარჯვების ამბავი სიმალლეზე ხტომაში. იმ ასაკში, ბურთის გორების გარდა, სპორტისა ხეირიანად აბა, რა უნდა მცოდნოდა, მით უმეტეს, მძლეოსნობისა, მაგრამ იმ წერილით მიღებული შთაბეჭდილება, ეტყობა, ქვეშეცნეულად, იმდენად მძაფრი აღმოჩნდა, რომ მისი ცალკეული ფრაგმენტები ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, ისევ მახსოვს.

მოგვიანებით, როცა თავადაც ვეზიარე სპორტის ამ სახეობას და, ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობის კვალობაზე, მძლეოსნებში ასე თუ ისე გავფერიე, როცა საშუალება მომეცა დიდი შეჯიბრებებიც მენახა, მივხვდი, რა უმაგალითო მიღწევა იყო რობერტ შავლაყაძის გამარჯვება მარადიულ ქალაქში.


ყველა გამოცემას თავისი მიზანი და ფორმატი აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, რა მოცულობის ნარკვევიც უნდა დაწერო რობერტ შავლაყაძეზე, მისი ცხოვრებისა და, განსაკუთრებით, 1960 წლის 1 სექტემბერს რომში მოპოვებული გამორჩეული წარმატების ფონზე, მაინც მწირი აღმოჩნდება.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გულშემატკივართა თაობები შეიცვალა და ამიტომ დასაწყისშივე ვამჯობინე ჯერ იმ ერთდღიანი რომაული ისტორიის თაობაზე მომეთხრო (ზოგისთვის კი გამეხსენებინა), რომელსაც წინ უძღოდა მყარ საფეხურებად აწყობილი ათასობით სადაგი დღე ოლიმპიური მწვერვალისკენ.

მამ ასე, ჯერ რომაული ამბების შესახებ.

...შეჯიბრების მონაწილეებიდან ყველაზე მშვიდი რობერტ შავლაყაძე ჩანდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ჰქონდა კიდეც საამისო მიზეზი... სიმშვიდე სიმალლეზე ხტომაში ისეთივე ეფექტური იარაღია, როგორც ზარბაზანი ძველ ომში. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ სიმალლეზე ხტომის მაშინდელ სტილს.

1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე ამერიკელმა რიჩარდ ფოსბიურიმ პირველად გამოიყენა ზურგით ხტომის ტექნიკა და სპორტული სამყარო გააოგნა. ფოსბიურის სტილი უფრო მარტივია, ხტომა ერთ მთლიან ხაზზე მიმდინარეობს. ეგრეთ წოდებული გადაგორებითი მეთოდი კი, რომელსაც მანამდე იყენებდნენ, გაცილებით ძნელი შესასწავლია. გამორბენს, ფოსბიურის სტილისგან





განსხვავებით, ბოლომდე ვერ იყენებ; ორივე მხრით ცდილობ სხეული მაღლა აიტანო, მერე მარჯვენა მხარს დაბლა სწევ, რომ თამასას გადაეწოდო; თამასაზე თითქოს ნაწილ-ნაწილ გადადიხარ: ჯერ მარჯვენა ფეხი და ხელი, მერე მარცხენა, ჯერ თავი, მერე მკერდი, სხეული... არეკნისა და მიწაზე, უფრო ზუსტად, ქვიშაზე დაშვების ზედაპირი ერთ სიმაღლეზეა. მაშინ სად იყო დღევანდელი მეტრ-ნახევრის სიმაღლის ფუმფულა ლეიბები. ფოსბიურის სტილით მსტომელი იმ პირობებში პირველივე ცდაზე კისერს მოიტეხდა. გამორბენისა და არეკნის ადგილზე დრეკადი ხელოვნური რეზინი კი არ იყო დაგებული, არამედ „უგრძნობი“ წიდა; ყველაფერთან ერთად, გადაგორებითი სტილით ასპარეზობისას, დახტომის დროს ქვიშაზე ჯერ ფეხით უნდა დაშვებულიყავი, უამისოდ ცდა არ ჩაგეთვლებოდა. ბევრი მსტომელი კარიერას ამთავრებდა და ეს სტილი ბოლომდე არც ჰქონდა ათვისებული.

დღეს შეიძლება ვინმემ ირონიულადაც კი გაიხსენოს რობერტ შავლაყაძის საუკეთესო შედეგი — 217 სანტიმეტრი, მაგრამ ეს მეტისმეტად მცდარი შეხედულება იქნება და აი, რატომ: მოგვიანებით, როცა მეცნიერებმა შავლაყაძის მონაცემები შეისწავლეს, დაასკვნეს, რომ ფოსბიურის ხერხით, თანაც დღევანდელ სტადიონზე, ქართველი ათლეტი, სულ მცირე, 238 სანტიმეტრ სიმაღლეს გადალახავდა და დღესაც ჩემპიონი იქნებოდა. 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სულაც 236 სმ-ით მოიგეს...

რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სიმაღლეზე ხტომის სექტორში, მაყურებელი მივიდა მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენის, ჩიკაგოელ კალიად, კენგურუდ, კაუჩუკის ადამიანად და კიდევ ათასნაირად მონათლული ამერიკელი ჯონ თომასის მორიგი გამარჯვების სანახავად. შეჯიბრების დღეებში გაზეთები წერდნენ, თითქოს თომასს დაუფიცებია, რომ თუ ოლიმპიადაზე ვერ გაიმარჯვებდა, ფეხით აირბენდა იმ დროისთვის მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობის, თითქოს ნახევარკილომეტრიანი „ემპაიერ სტეიტი ბილდინგის“ საფეხურებს ნიუ-იორკში. ეს სახუმარო საქმე არ იყო. ამ ცნობილი ნაგებობის ბოლო სართულამდე არბენაში ახლაც ყოველ წელიწადს ტარდება შეჯიბრებები და გრანდიოზული კიბეების სერპანტინზე, არათუ მსტომელებს, თვით სტაიერებსაც სული ეხუთებათ.

უფრო შორს წავიდა აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი პინკუს-სობერი. მან პრესკონფერენციაზე პირობა დადო, თუ ჩვენ მძლეოსნობაში დავმარ-



რობერტ შავლაყაძეს უზადო ტექნიკის გამო „ტექნიკოსს“ ეძახდნენ, საოცრად ზუსტად ზომავდა არეკნის სიძლიერეს და ყველა სიმალლეს, დაბალსაც და მაღალსაც, თანაბრად, თითქოს ძლივძლივობით იღებდა. ამასთან, ლამის ყოველი ნახტომის შემდეგ თამასა ნაზად ქანაობდა.

ცხდებით, საკუთარ ქუდს შევჭამო. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ რომში საბჭოთა მძლეოსნებმა ამერიკელებზე უკეთესი შედეგი აჩვენეს. მერე აღარ თქმულა, რომელი ფირმის კეტჩუპი მოასხა პინკუს-სობერმა თავის ქუდს, ან საერთოდ შეჭამა თუ არა იგი, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ამერიკელ მძლეოსანთა ბოსი რობერტ შავლაყაძის სენსაციური გამარჯვების გამოც აღმოჩნდა ალტერნატივის წინაშე.

ჟურნალისტები თომასს ყველგან კუდში დასდევდნენ, ზოგჯერ დასასვენებელ ოთახშიც ეჭრებოდნენ. ის მაშინ უდიდესი ვარსკვლავი იყო მძლეოსანთა შორის. მისი ყოველი ნახტომი ერთი მთლიანი, ჭეშმარიტად ამერიკული შოუს ნაწილს წარმოადგენდა. რობერტი თომასს ოლიმპიურ სოფელში შეხვდა, მალე დაუახლოვდა. ხანდახან ქუჩაშიც ერთად დადიოდნენ, მაგრამ ჟურნალისტები მხოლოდ ამერიკელის მიმართ იყვნენ გაფაცინებული. ქართველი სპორტსმენი ვის რაში აინტერესებდა. თომასი გულლია ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ, ასეთი ყურადღებით განებივრებული, დროდადრო მედიდურობასაც ავლენდა და როგორღაც ზემოდან უყურებდა ყველას.

თბილისელმა მძლეოსანმა თავისთვის გადაწყვიტა: კაცი არ ვიყო, თუ ამათ თავისი ადგილი არ მივუჩინოო. მანამდე რობერტმა თანაგუნდელებთან — ვალერი ბრუმელთან და ვიქტორ ბოლმოვთან ერთად რომის სტადიონ „აკვაჩი-ტოზაზე“ თომასის ვარჯიში ნახა. დასაწყისში ახმანმა ამერიკელმა, რომელიც რობერტზე 12 სანტიმეტრით მაღალი იყო, საოცარი მაკრატელა უჩვენა თავის უმთავრეს მეტოქეებს: ერთი ფეხი მიწაზე ედგა, მეორე საფეხბურთო კარის ზედა ძელს ზემოთ ჰქონდა აწეული. ამას უძლიერესი მხტომელები მხოლოდ ნახტომით, ჰაერში აკეთებდნენ.

გაზეთებმაც არ დაახანეს: „გუშინ ჯონ თომასმა რუსი მხტომელების თანდასწრებით შესანიშნავი ვარჯიში ჩაატარა. ეს უკვე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა. რუსები პანიკაში არიან“, — წერდა „დეილი ამერიკენი“.

მაგრამ მეორე დღეს, ასპარეზობის დროს, აშკარად გამოჩნდა, რომ ქართველ



სპორტსმენს ღამით შიშისგან არ უცახცახია. „აკვაჩიტოზაზე“ იგი თომასის ვარჯიშს ყურადღებით აკვირდებოდა. სიმაღლეზე მსტომელს საზომი არ სჭირდება, თვალითაც კარგად ატყობს, რა სიმაღლეზეა გადაებული თამასა. გადახტებოდა ამერიკელი 205 ან 210 სანტიმეტრზე და მწვრთნელი ხმამაღლა, ყველას გასაგონად შეაქებდა: ყოჩაღ, 215 ან 220 სანტიმეტრი აიღეო. ქართველი მძლეოსანი უცებ მიხვდა, რაშიც იყო საქმე: არც დიდი რეკორდსმენი და არც მისი მწვრთნელი ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ ძალებში. მაშინ რობერტმა პირველად ირწმუნა, რომ თომასის დამარცხება შეიძლებოდა. ასე დაიბადა ეს „მკრეხელური“ აზრი ყველასთვის უცნობი ქართველი მსტომელის გონებაში. სხვაზე რა ვთქვათ, როცა რომში მყოფი მისი ქომაგებიც ხმამაღლა ამბობდნენ: აქ არის ბრუმელი, აქ არიან თომასი და ჩვენი რობერტის შანსი მინიმალურიო.

თვითონ შავლაცაძე მოგვიანებით ასე აღწერდა თავის მაშინდელ განცდებს: „იმის თქმა, რომ თომასის შესაძლებლობების დემონსტრირებამ გულგრილი დამტოვა, ტყუილი იქნება, მაგრამ ამის გამო ყურები არ ჩამომიყრია. პირიქით. ბრძოლის ჟინით ავივსე. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მხოლოდ ძალით, სიმარჯვით, ტექნიკით, არამედ, პირველ ყოვლისა — ხასიათით. ერთმანეთს ეჯიბრება შეხედულებები ცხოვრების წესზე, პატრიოტიზმზე, ღირსებაზე, პატიოსნებაზე... ჩვენ გვამარჯვებინებს არა მხოლოდ ძალა და გამძლეობა, არამედ უფრო იმის უნარი, რომ მოვახერხოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენა ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვან მომენტში“.

თუ ამერიკელის ვარჯიშში „ემშაკობები“ თვალნათლივ დაინახა, ქართველმა სპორტსმენმა ისიც შენიშნა, რომ მის თანაგუნდელებს გუნება ნაუხდათ. პრესაც იგივეს წერდა: ბრუმელსა და ბოლშოვს შეშფოთება ნამდვილად დაუფლებოდათ. საკავშირო ნაკრებში ვინ რა სიმაღლეზეც უნდა გადაამხტარიყო და როგორი წარმატებისთვისაც უნდა მიეღწია, შავლაცაძე კოლეგებში მაინც ღიღერად ითვლებოდა. მის სიტყვას დიდი ძალა და ფასი ჰქონდა. რომში, ვიდ-



რობერტ შავლაყაძე და
ბორის პაიჭაძე



რობერტ შავლაყაძე:
„სპორტსმენები ერთმა-
ნეთს ეჯიბრებიან არა მხო-
ლოდ ძალით, სიმარჯვეთ,
ტექნიკით, არამედ, პირველ
ყოვლისა — ხასიათით.
ერთმანეთს ეჯიბრება
შენედულებები ცხოვრების
ნესზე, პატრიოტიზმზე,
ღირსებაზე, პატიოსნებაზე...
ჩვენ გვაპარჯებინებს არა
მხოლოდ ძალა და
გამძლეობა, არამედ უფრო
იმის უნარი, რომ მოვახერ-
ხოთ მთელი ჩვენი შესაძ-
ლებლობების გამოვლენა
ყველაზე საჭირო და მნიშ-
ვნელოვან მომენტში“.

რე მსტომელთა შეჯიბრება დაიწყებოდა, რობერტს არგუმენტების მოხმობა და შეგონებაც დასჭირდა, რომ ბოლშოვს და ბრუმელს შიში თავიდან ამოეგდოთ.

რაც შეეხება თომასს, ამერიკელი ფავორიტი, შეიძლება თავისი თავდაჯერებულობის გამოსახატავად, მთელი საღამო სპორტსმენთა კლუბში ცეკვავდა და ერთობოდა. ყველას უნდა დაენახა, რომ მეორე დღეს, 1 სექტემბერს, ოქროს მედლის მოსაპოვებლად მას მხოლოდ რამდენიმე სავალდებულო ნახტომის შესრულება სჭირდებოდა, მეტი არაფერი. შეჯიბრების წინ, როცა სტადიონზე გამოჩნდა, სახეზე ეხატა გარანტირებული გამარჯვების მოლოდინი და გაჯგომული დაიარებოდა. ქართველი ათლეტი, როგორც ვთქვით, სახტომ სექტორზე ისე გავიდა, ოდნავი მღელვარებაც არ ეტყობოდა. მას სიმშვიდის გარდა სხვა იარაღიც ჰქონდა: უსაზღვროდ ბრძოლისუნარიანი და შეუპოვარი იყო. სიმაღლეს, მეტოქეებს, უცხო სტადიონის ატმოსფეროს, ცუდ ამინდს, მსაჯების უსამართლობას ისე ებრძოდა, როგორც უკანასკნელ ბასტიონს. და ასეთი იყო არა მარტო სახტომ სექტორში. ჭაბუკობიდანვე ასეთი ხასიათი ჰქონდა, ხშირად ჩაუგდია ხიფათში თავი, რომ სრულიად უცხო ადამიანებს გამოჰქომაგებოდა. უსამართლობას ვერასოდეს ურიგდებოდა...

მოკლედ, თუ იმ დროისთვის მისთვის უმაღლეს შედეგს — 213 სანტიმეტრ სიმაღლეს არ ჩავთვლით, — რაც ყველაზე დაბალი იყო ფავორიტი მსტომელების შედეგებს შორის, — ეს თვისებები უმაგრებდა ზურგს რობერტ შავლაყაძეს ვალერი ბრუმელის აშკარა ნიჭისა და ჯონ თომასის საოცარი მიღწევის — პალო-ალტოში დაძლეული 222 სანტიმეტრი სიმაღლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ძლიერი სპორტსმენი იყო საბჭოთა გუნდის მესამე ნევრი ვიქტორ ბოლშოვი, მაგრამ შავლაყაძე მას, ცხადია, მთავარ მეტოქედ არ თვლიდა.

...სწორედ იმ დღეს, 1 სექტემბერს, თბილისში, ვახუშტის ქუჩაზე მდებარე ოროთახიანი „იტალიური“ ბინიდან რობერტ შავლაყაძის დედა, ღრმად მორწმუნე ქალი, უთენია ფეხშიშველი გამოვიდა, მივიდა დიდუბის ეკლესიამდე, სამჯერ შემოუარა ტაძარს, მერე კარი გააღებინა, შევიდა, სანთლები დაანთო, ილოცა და ასე, ფეხშიშველი დაბრუნდა სახლში. დაბრუნება იყო და ფანჯარას მტრედი მოაწყდა, ღია რომ ყოფილიყო, ოთახში შეფრინდებოდა. დედამ ოთხი ქალ-ვაჟი გააღვიძა — ეს კეთილის ნიშანია, შვილებო, თქვენი ძმა რომიდან ჩემპიონად დაგიბრუნდებათო. ისიც საკვირველია, რომ იმ დღეს რობერტის სათაყვანებელი პაპის დაბადებიდან ზუსტად 100 წლისთავი იყო...

რობერტმა საკვალიფიკაციო სიმაღლე ორი ცდით იოლად გადალახა – მეტი არ დასჭირვებია. მაშინ საკვალიფიკაციო და ძირითადი ტურნირი ერთ დღეს ტარდებოდა, რაც განსაკუთრებით ამძიმებდა ასპარეზობის პირობებს.

ფინალური შეჯიბრების სტარტზე ფავორიტებმა 190 სანტიმეტრი გამოტოვეს და 195-ით დაიწყეს. თომასმა, ბრუმელმა და ბოლშოვმა ეს სიმაღლე იოლად გადალახეს. შავლაცაძემ 195 სმ გამოტოვა და 2 მეტრიდან „შეუდგა საქმეს“. რას შვრები! — უყვიროდა ტრიბუნიდან ვლადიმირ დიაჩკოვი, მისი მწვრთნელი საკავშირო ნაკრებში. რობერტმა, თითქოს არაფერი გაუგონიაო, ტრიბუნას თვალი მოარიდა. თავისი სტრატეგია უკვე გულდასმით ჰქონდა შემუშავებული. თან სახტომი სექტორის გასწვრივ ასმეტრიანი დისტანციის ფინიში იყო და შავლაცაძე სპრინტერთა შეჯიბრებებსაც ადევნებდა თვალს. ასეთ დროს ისე მშვიდად იყო ხოლმე, რომ სექტორში გაზეთის კითხვაც შეეძლო.

რა იცოდა დიაჩკოვმა, რომ ქართველი სპორტსმენი მანამდე, მთელი წლის განმავლობაში წერდა ერთგვარ ოლიმპიურ გეგმას თუ „შპარგალკას“, ანგარიშობდა, რომელი მხტომელები უნდა ყოფილიყვნენ მისი მთავარი მეტოქეები რომში, რას შეიძლებოდა შეეშალა ხელი მისთვის როგორც ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად, ისე თვითონ ოლიმპიურ ტურნირზე. წინასწარ ისიც კი ჰქონდა გადანიშნული, რომ რომში შეჯიბრება მაშინ დაეწყოს, როცა ძირითადი მეტოქეები მეორე სიმაღლეზე გადავიდოდნენ. მოკლედ, აუტსაიდერის კვალობაზე მეტისმეტად თამამი გეგმა ჰქონდა დასახული.

2 მეტრიდან დაწყებული, ყველა სიმაღლე — 203, 206, 209, 211, 214 სანტიმეტრი პირველივე ცდით აიღო. ბოლშოვი 214 სანტიმეტრზე გაჩერდა. მანამდე შეჯიბრების მიღმა დარჩა მელბურნის ოლიმპიადის გმირი, თომასის თანამემამულე ჩარლზ დიუმასიც, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა, მძლეოსნობის ისტორიაში პირველი გამხდარიყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში. ამასთან, დიუმასმა ფილადელფიაში, ერთი წლით ადრე ქართველი ათლეტის მისამართით თქმული მუქარა ვერ შეასრულა (ამაზე ქვემოთ). ბრუმელსა და თომასს თითო სიმაღლეზე თითო ზედმეტი ცდა შემოეხარჯათ: ბრუმელს — 209 სანტიმეტრზე, თომასს — 214-ზე. ქართველი ათლეტი, ყველას გასაკვირად, ყველაზე კრიტიკულ დროს ერთი ცდით უსწრებდა თავის უნიჭიერეს ყმანვილ ოპონენტებს — 18 წლის ბრუმელს და 19 წლის თომასს. ამ „ლანირაკებს“, როგორც უკვე აღვნიშნე, მასზე მაღალი შედეგები ჰქონდათ. ამერიკელს რომ თავი

დავანებოთ, ბრუმელს მანამდე 217 სანტიმეტრი ჰქონდა აღებული. თუმცა 27 წლის რობერტს ერთი დიდი ტურნირიც არ ჰქონდა წაგებული, ფილადელფიაში გამართული გიგანტთა მატჩის ჩათვლით. საერთოდ, სპორტული კარიერა ისე გალია პირისპირ ბრძოლაში, დიდ ტურნირებზე დამარცხების სიმწარე არ განუცდია ორი-სამი გამონაკლისის გარდა, ისიც ძირითადად ტრავმების გამო.

შავლაყაძე ხტებოდა და უკვე გვარიანად დაქანცული, 12-საათიანი ბრძოლის შემდეგ საკუთარ თავს ამხნევებდა, ათასჯერ ნათქვამ სიტყვებს კიდევ იმეორებდა: „რობერტ, გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, ვისი შვილი ხარ. თბილისში რომ ჩახვალ, ხალხს რა პასუხს გასცემ, გამაგრდი...“ არა მარტო სახტომ სექტორში, მთელ ოლიმპიურ სტადიონზე მართლაც საოცარი ამბები ხდებოდა. მძლეოსნობა სპორტის კომპლექსური სახეობაა და ერთდროულად რამდენიმე დისციპლინაში მიმდინარეობს შეჯიბრება. „ფორო იტალიკოზეც“, ცხადია, ასე იყო. ამას, ბუნებრივია, შესაბამისი ემოციები უნდა გამოეწვია მაყურებლებში. მაგრამ როგორც კი ქართველი ათლეტი სტარტზე დგებოდა, სტადიონზე ბუზის გაფრენას გაიგონებდით. აშკარად ჩანდა, შავლაყაძეს იტალიელს ამსაგავსებდნენ. ამიტომ გასაგები იყო ასეთი მხარდაჭერა მასპინძელთა მხრიდან — მთელი სტადიონი მისი გულშემატკივარი გახდა. წერდნენ კიდევ იტალიური გაზეთები: „საქართველოს წარგზავნილი რობერტ შავლაყაძე რომის XVII ოლიმპიადის ჭეშმარიტი გმირია. ამ 27 წლის შავგვრემანმა სპორტსმენმა, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს იტალიელს, შეუძლებელი შეძლო“.

მსოფლიოს რეკორდსმენი ხედავდა, რომ გამარჯვება ჯერ კიდევ შორს იყო, ამიტომ 212 სანტიმეტრი გამოტოვა — მოვლენების დაჩქარებას შეეცადა. მისი ანგარიში გასაგები იყო: თუ მომდევნო სიმაღლეს, 214 სანტიმეტრს, პირველი ცდით აიღებდა, მეორე პოზიციაზე მაინც გადაინაცვლებდა. მაგრამ შავლაყაძე, პირველივე ცდით გადაახტა 214 სანტიმეტრს, ბრუმელი — მხოლოდ მეორე ცდით. თომასსაც მეორე ცდა დასჭირდა ამ სიმაღლის დასაძლევად. სხვა მეტოქეები ამ დროს უკვე მაყურებლის რანგში ესწრებოდნენ შეჯიბრებას.

თომასი ბრუმელის შემდეგ ხტებოდა, მას კი რობერტი ედგა კვალში. 216 სანტიმეტრზე ბრუმელს პირველი ცდა გაუცუდდა. შემდეგ ამერიკელი გამოექანა და... იმანაც ჩამოაგდო თამასა. მრავალი რეკორდის ავტორი, რომელსაც მანამდე ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, ისე გაოგნდა, რომ საოცარი რამ ჩაიდინა: შემოტრიალდა და ისევ სასტარტო ადგილისკენ გაემართა,



დიდუბეში, უბანში,
რობერტს ბავშვობიდანვე
კარგი სახელი ჰქონდა.
არა მარტო თანატოლები,
უფროსებიც პატივისცე-
მით ეპყრობოდნენ. მისი
ბავშვობის მეგობრებიც —
გივი კობახიძე, ავთანდილ
მორჩაძე, რევაზ ოშიაძე,
ვახტანგ შარაშენიძე
ერთხმად ამტკიცებენ,
რომ რობერტი იშვიათი
ხასიათის, ყველასგან
გამორჩეული ბიჭი იყო:
მეგობრებზე გადატეხილი,
ნესიერი, შრომისმოყვარე...

რომ ხელახლა გადამხტარიყო. ასეთი რამ მძლეოსნობის ისტორიას არ ახსოვს. მაგრამ ასევე გაოგნებული მსაჯებიც გონს მოეგნენ და თომასს მოსთხოვეს, შენს რიგს დაუცადეო. მაგრამ ბავშვივით გაჭირვებული ამერიკელის და-შოშმინება ეგრე იოლად ვერ მოხერხდა. შავლაყაძეს კარგა ხანს მოუხდა ლოდინი. მერე გაბრაზებული გავიდა სტარტზე და ყველას — მეტოქეების, მაყურებლების, ტელემაყურებლების გასაკვირად, სუფთად, პირველივე ცდაზე აი-ლო 216 სმ. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ეს იყო მართლაც ოქროს ნახტომი. ბრუმელმა, როგორც ვთქვით, ამ სიმაღლის აღება მხოლოდ განმეორებითი ნახტომით შეძლო, თომასი მესამეზე დარჩა მისთვის სამარცხვინო შედეგით — 214 სანტიმეტრით.

საოცარი, 13-საათიანი, უმძიმესი მარათონი დასასრულს უახლოვდებოდა. თითქმის ჩამობნელდა და თამასა ცუდად ჩანდა. სინათლე! – ყვიროდა მაყურებელი და მსტომელებიც ხელებს ასავსავებდნენ. 218 სანტიმეტრზე, მეორე ცდიდან, სტადიონზე პროექტორები ჩართეს და რობერტს გამორბენის რიტმი დაერღვა: დღის სინათლეზე და ხელოვნურ განათებაზე სხვადასხვა მანძილი სხვადასხვაგვარად აღიქმება. სიმაღლეზე ხტომის სექტორში კი სანტიმეტრები კი არა, მილიმეტრები წყვეტს ყველაფერს. შავლაყაძე ხელოვნურ განათებაზე ვარჯიშსა და ასპარეზობას შეჩვეული არ იყო, თორემ იმ დროს არც 218 სანტიმეტრი იქნებოდა მისთვის დაუძლეველი. მოკლედ, მანაც და ბრუმელმაც თამასა სამ-სამჯერ ჩამოაგდეს და... იტალიელ მაყურებლებს უკვე ნანახი ასპარეზობა სასწაულად ექცათ: სრულიად უცნობმა ქართველმა მძლეოსანმა სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, ამასთან, დაამარცხა ცოცხალი ლეგენდა — ჯონ თომასი! საქართველოს თავისი სპორტსმენების მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება ახსოვს, მაგრამ მათ შორის რობერტ შავლაყაძის რომაული ბენეფისი იქნებ ყველაზე უდიდესია.

„როცა ყველა სიმაღლეს პირველივე ცდით ვიღებდი და ვხედავდი, განსაკუთრებით გადამწყვეტ ეპიზოდებში, როგორ ნერვიულობდნენ მეტოქეები, უკვე ვიცოდი, რომ გამარჯვებული ვიყავი,“ — იმდროინდელ ვითარებას იხსენებს რომის ტრიუმფატორი.

თომასის მადევარ ჟურნალისტებზე ჯავრის ამოყრა აღარ უფიქრია. მით უმეტეს, რომ სიმაღლეზე ხტომაში ასპარეზობის დასრულებისთანავე მასმედიელთა ისეთი დოლი ატყდა ტელეფონებისკენ, პარალელური ოლიმპიადა გეგონებოდათ. არც იყო გასაკვირი: შავლაყაძის გამარჯვებაზე დიდი სენსაცია რალა უნდა ყოფილიყო?! ქართველმა სპორტსმენმაც თავდაჭერილად და ღირსეულად მიიღო დამსახურებული ჩემპიონობა; გამარჯვების გამოსახატავად თავდავიწყებული ხტუნვა და სტადიონზე გიჟური სირბილი არ სჩვეოდათ მაშინ.

ოლიმპიური სოფლის ამერიკულ სექტორში გლოვის ნიშნად უზარმაზარი შავი დროშა გამოფინეს. საინტერესოა, ასე უცებ სად იშოვეს იმხელა შავი ნაჭერი. გაზეთები გაივსო ერთმანეთის მსგავსი სათაურებით — რობერტ შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა ჰეგემონია დაამხო. მართლაც, ოლიმპიადების ისტორიაში, ორი თამაშების გამოკლებით, მძლეოსნობის ამ სა-

ხეობაში სულ ოკეანისგალმელები იმარჯვებდნენ და სიმაღლეზე ხტომაში პირველობას არავის უთმობდნენ. მანამდე გამართულ ოლიმპიადებზე თავიანთ სახეობაში ამერიკელებმა მხოლოდ კანადელ მაკნოტონს (1932, ლოს-ანჯელესი) და ავსტრალიელ უინტერს (1948, ლონდონი) დაუთმეს პირველობა. რობერტ შავლაყაძემ რომში ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მელბურნის ოლიმპიადის ამერიკული რეკორდი 214 სანტიმეტრი იყო.

მართალია, პროგნოზებში განზილებულმა ერთი-ორმა გაზეთმა მაინც დანერა, ვილაც „შემთხვევითი“ შავლაყაძე დიდი გაუგებრობის შედეგად გახდა ოლიმპიური ჩემპიონიო და წერილს გამარჯვებულის კი არა, ჯონ თომასის ფოტო დაურთო, მაგრამ გავლენიანმა გამოცემებმა ქართველი ათლეტის გამარჯვება სათანადოდ დააფასეს.

ლონდონის „თაიმი“: „საბჭოთა მძლეოსანმა შავლაყაძემ დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. იგი ამ დღეს დიდებული, შეუდარებელი იყო, ისეთი, როგორიც არავინ. მან ბრწყინვალედ მოიგო ამერიკელებთან როგორც საჰაერო, ისე ფსიქოლოგიური ბრძოლა.“

იტალიური „სტამპა“: „სიმაღლეზე ხტომის ოქროს წიგნში დღემდე არ იყო არც ერთი ევროპელის სახელი. დღეს თბილისელმა რობერტ შავლაყაძემ ახალი ფურცელი ჩაწერა ამ მატრიანში“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“: „თომასი ჯერ ახალგაზრდაა, მას მომავალი წინა აქვს და თუ შეძლებს ამ დამარცხების გმირულად გადატანას, მეტს მოიგებს. მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო დიდია და განუწყვეტლივ წარმოშობს ახალ შავლაყაძეებს...“

საინტერესოა თანაგუნდელისა და მეტოქის შეფასებაც. თომასისა არ იყოს, ვალერი ბრუმელსაც თავისი დამარცხება, თურმე, ბოლომდე არ სჯეროდა, მარცხის შემდეგ კი, სხვა რა გზა ჰქონდა, შეეგუა ყველაფერს: „რობერტ შავლაყაძემ პირველი ცდით აიღო 216 სანტიმეტრი! მე ეს სასწაულად ჩავთვალე. მოგვიანებით, მომდევნო წლებში შეჯიბრებების პროცესში, თავადაც ვისწავლე პირადი შედეგის გაუმჯობესება რვიდან ჩვიდმეტ სანტიმეტრამდე. მაგრამ მაშინ, რომის ოლიმპიადაზე, ეს შეუძლებლად მეჩვენებოდა. თუ როგორ შეძლო რობერტმა, ამას მოგვიანებით მივხვდი: გამოცდილებით! უზარმაზარმა გამოცდილებამ და გონიერმა თავმა რობერტ შავლაყაძეს საშუალება მისცა სწორად გაენანილებინა საკუთარი ძალები და ზუსტად შეჯიბრების დასკვნით

ვლადიმირ დიაჩკოვი და
რობერტ შველაყაძე





რობერტ შავლაყაძეს
სიმშვიდის გარდა სხვა
იარაღიც ჰქონდა:
ბრძოლისუნარიანი და
შეუპოვარი იყო.
სიმაღლეს, მეტოქეებს,
უცხო სტადიონის
ატმოსფეროს, ცუდ
ამინდს, მსაჯების
უსამართლობას ისე
ებრძოდა, როგორც
უკანასკნელ ბასტიონს.
და ასეთი იყო არა მარტო
სახტომ სექტორში.
ჭაბუკობიდანვე ასეთი
ხასიათი ჰქონდა, ხშირად
ჩაუგდია ხიფათში თავი,
რომ სრულიად უცხო
ადამიანებს გამოჰქომაგე-
ბოდა. უსამართლობას
ვერასოდეს ურიგდებოდა...

ნაწილში სრულად გამოვევლინა თავისი შესაძლებლობები. ამ უნარს ის ყოველთვის და სრულყოფილად ამჟღავნებდა.“

ბრუმელი მართალი იყო. მანამდე, ოლიმპიადების ისტორიაში, არც ერთ სიმალეზე მხტომელს არათუ თავისი საუკეთესო შედეგი არ უჩვენებია, ძველი პირადი მიღწევაც არ გაუმეორებია. სწორედ ამაში ჩანს რობერტ შავლაყაძის ხასიათი.

მეორე დღეს სიგრძეზე მხტომელი რევაზ ქვაჩაკიძე ქალაქში სასეირნოდ გავიდა. მას რომაელები შემოეხვივნენ, შენ შავლაყაძე ხარო. ვერაფრით ვერ დააჯერა, რომ სხვა იყო. ნაიყვანეს, ღვინო მიართვეს, სუვენირებით გაავსეს და გამოუშვეს. მივიდა რეზო ოლიმპიურ სოფელში და ეს სუვენირები სიცილით დაახვავა რობერტის წინ: „რა მექნა, ვერა და ვერ დავარწმუნე, რომ შავლაყაძე არ ვიყავი...“

რევაზ ქვაჩაკიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „მე და რობერტი ძალიან ვგავდით ერთმანეთს. უღვაშებიც ერთნაირი გვქონდა. ამიტომ მომცვივდნენ, პრიმა შავლაყაძეო. უფრო ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ოლიმპიადის, განსაკუთრებით ჩემპიონების მიმართ. ავტოგრაფიც ბევრმა მთხოვა. როცა რობერტს ეს ამბავი ვუთხარი, ნება დამართო მისი სახელით გამეცა ავტოგრაფები, რა გენაღვლებო. მეც ბეჯითად ვანერდი: «216 — რობერტ შავლაყაძე». რობერტი რომ ხტებოდა, მე, სამწუხაროდ, ოლიმპიურ სოფელში ვიყავი, ასეთი იყო ჩემი გრაფიკი. მაგრამ ყველაფერი ტელევიზორში ვნახე. ეს ჭეშმარიტად დიდებული სანახაობა იყო. რობერტმა, პირველ ყოვლისა, თავისი სიმშვიდით გატეხა მეტოქეები. თომასზე აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ ვალერი ბრუმელის დაჯაბნაც იმ დროს უკვე ძალიან ძნელი იყო. მას ხტომის ახალი, პროგრესული ტექნიკა ჰქონდა ათვისებული, რაღაცით დღევანდელ ფოსბიურის სტილს ჩამოჰგავდა — ძლიერ გამორბენს აკეთებდა და ეს ძალა ნახტომზე გადაჰქონდა. ამ ტექნიკის წყალობით მოიგო მომდევნო — ტოკიოს ოლიმპიადა და მრავალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კიდევ ბევრსაც დაამყარებდა, მაგრამ ცოტა თავქარიანი კაცი გახლდათ... ტოკიოს შემდეგ ვალერი ბრუმელი მეგობარს მოტოციკლზე შემოუჯდა, ავარია შეემთხვათ და მისი სპორტული კარიერაც დასრულდა. მაგრამ, ამ უმძიმესი ტრავმის შემდეგ, ცნობილმა ექიმმა ელიზაროვმა მაინც განკურნა ისე, რომ შეძლო მიეღო მონაწილეობა რობერტის ტურნირში (დიდი სპორტსმენი 59 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა -გ.ჩ.).



შავლაყაძესაც და მეც ოლიმპიურ სოფელში განსაკუთრებულ პატივს გვცემდნენ. დღემდე არ დამავიწყდება თომასის თვალეები — ისე გვიცქერდა, თითქოს ჯიბიდან ამოვაცალეთ ოქროს მედალი. სამწუხაროდ, მე გვიან ჩავედი რომში და სიგრძეზე ხტომაში ჩემი საუკეთესო შედეგი ვერ ვაჩვენე. თუმცა, ეს შედეგი — 779 სანტიმეტრი რომ გამემეორებინა კიდევ, მაინც მხოლოდ მეხუთე ვიქნებოდი.“

საბჭოთა ბანაკში დიდი ზეიმი იყო. „რობერტ მიხაილოვიჩი, ისეთ რამეს მოვიმოქმედებ, რაც არასდროს მომხდარა. შენ ორდენს გადმოგცემთ, იმიტომ, რომ გმირი ხარ და უკვე ლენინის ორდენის კავალერი!“ — უთხრა საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ რომანოვმა ქართველ სპორტსმენს. რომანოვი არ ენეოდა და როცა შეჯიბრების შემდეგ, უკვე სასადილოში, მისალოცად მივიდა რობერტ შავლაყაძესთან და გადაეხვია, გაოცებულს აღმოხდა: „თქვენ უნიკალური სპორტსმენი ხართ, ყველაფერთან ერთად, თურმე ენევიტ კიდევ. მონიეთ, რამდენიც გინდათ, თქვენთვის შეიძლება და ალალიცაა.“ ის ლენინის ორდენი მას მოგვიანებით თვითონ ნიკიტა ხრუშჩოვმა სხვებთან ერთად გადასცა მოსკოვში.

თბილისში დაბრუნებულ ოლიმპიადის ტრიუმფატორს, ცხადია, დიდი ზეიმი შეხვდნენ. მაგრამ რობერტს განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ ხედავდა, როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ეზოებში ბავშვები სიმაღლეზე გადახტომაში. ხარისხად კი თოქს ან ფიცარს იყენებდნენ. ოლიმპიურ ჩემპიონს ეშინოდა კიდევ, არაფერი დაიშავონო. თავისი ბავშვობა ახსენებოდა, ის შემთხვევა, როცა საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე „დინამოს“ სტადიონის რკინის მესერს გადაახტა და მილიციელებს ჩაუვარდა ხელში. სად ჰქონდა ფეხბურთზე შესასვლელი ბილეთი! მაშინ ცნობილმა ფეხბურთელმა გრიშა გაგუამ გამოიხსნა, გაუშვით, იქნებ სიმაღლეზე მსტომელი გამოვიდესო...

მეოცე საუკუნის სპორტის საუკუნესაც უწოდებენ. მაგრამ დღეს მაინც ძნელი წარმოსადგენია, რას ნიშნავდა სპორტი ომის შემდგომი თაობისთვის, მით უმეტეს, რომ სტალინმა — როცა დაარწმუნეს, საბჭოთა სპორტსმენებს ამერიკელების დამარცხება შეუძლიათო — გზა გაუხსნა მათ საოცნებო ოლიმპიური სარბიელისკენ. სწორედ მაშინ დაიბადა რობერტ შავლაყაძის დიდი ოცნება, უფრო სწორად, დიდი მიზანი, რადგან მიზანდასახულობა ბავშვობიდანვე სჩვეოდა. 1952 წელს საბჭოეთისთვის პირველ, ჰელსინკის ოლიმპიადაზე ნი-



*რობერტ შავლაყაძე სსრ
კავშირის სადებიუტო
პირველობაზე,
თბილისი, 1955 წელი*

ნო დუმბაძემ — მსოფლიოს შვიდგზის რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში — მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ 19 წლის პერსპექტიულ მსტომელს რობერტ შავლაყაძეს პირველად მაშინ აფიქრებინა, რომ ოლიმპიური ჩემპიონობა ქართველი მძლეოსნებისთვის მიუღწეველი მიზანი არ იყო.

ზოგი მართო თავისი ბუნებრივი ნიჭით აღწევს დიდ წარმატებას. ნიჭის გარდა, რობერტ შავლაყაძეს რომისკენ მიმავალ გზაზე საკმაოდ დიდი გამოცდილება და უკვე ჩამოყალიბებული შეუპოვარი ხასიათი დაეხმარა. შრომა კი არასოდეს ეზარებოდა. ბავშვობიდანვე მიაჩვიეს.

რობერტის მამა ერთი ხანობა გასამხედროებული ქარხნის დირექტორი იყო. ომის დროს გერმანიიდან ჩამოტანილი ჩარხების აწყობა მხოლოდ მას შე-



ედლო. პროდუქტი ძალიან ჭირდა, დირექტორმა სამსახურის სატვირთო მანქანა კახეთში გაგზავნა და იქიდან მშვიერი მუშებისთვის კარტოფილი ჩამოატანინა. სამსახურებრივი მანქანის გამოყენების გამო კინალამ დაიჭირეს. მერე ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ძალიან კარგი სპეციალისტი იყო და არ გაუშვეს – აქაც ფრონტიანო. რობერტის თქმით, მამა პურმარილიანი, მომლხენი კაცი გახლდათ, მაგრამ ყველაფერში ზომიერება იცოდა. ხუთი შვილის პატრონი დღედაღამ სამუშაოზე იყო. შესაძლოა, ამის გამო პატარა რობერტს ქარხანაში დააწყებინა მუშაობა, ხარატს მიაბარა. განსაკუთრებული დრო იყო — სამუშაოზე დაგვიანებისთვის შეიძლება ადამიანი სამართალშიც მიეცათ. პატარა რობერტმა საკვირველი სიბეჯითე გამოჩინა. მის მიერ გამოჩარხულ ღეტალებს

1977 წელს რობერტ შავლაყაძე კონგოში მიავლინეს. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი სამი წელი წვრთნიდა იქაურ მძლეოსნებს.

მამა ხშირად მაგალითად უჩვენებდა სხვა მუშებს და კიცხავდა: ბავშვი ასე მუშაობს და თქვენ რა დაგემართათო. რობერტ შავლაყაძეს დღემდე ახსოვს საამქროს სპეციფიკური სუნი, დიდი ბუშლატი, რომელიც ქარხანაში მისცეს, რადგან საამქროში ძალიან ციოდა...

მამა 1974 წელს დაელუპა. „მეგონა, ქვეყნიერება დაინგრა“, — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი. ბედიც უნდა ჰქონდეს კაცს: როცა საავადმყოფოში საკმაოდ იოლ ოპერაციას უკეთებდნენ, იმ დროისთვის უჩვეულო რამ მოხდა — დენი გაითიშა. ამას ექიმის დაუდევრობაც დაემატა და ხუთი შვილის მამა გარდაიცვალა.

ერთხელ, ომის დროს, რობერტს პურის ტალონები დაეკარგა. მშობლებს საყვედური არ დასცდენიათ, არაფერი უგრძნობინებიათ, თუმცა, ოჯახისთვის მაშინ ეს დიდი დანაკლისი იყო. რობერტის დედას, ქალბატონ ნატალიას, უბანში „ზოლოტას“ ეძახდნენ. შრომაში და გაჭირვებაში გაზარდა ხუთი შვილი. ხუთივემ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა.

დიდუბეში, უბანში, რობერტს ბავშვობიდანვე კარგი სახელი ჰქონდა. არა მარტო თანატოლები, უფროსებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისი ბავშვობის მეგობრებიც — გივი კობახიძე, ავთანდილ მორჩაძე, რევაზ ომიაძე, ვახტანგ შარაშენიძე ერთხმად ამტკიცებენ, რომ რობერტი იშვიათი ხასიათის, ყველასგან გამორჩეული ბიჭი იყო: მეგობრებზე გადაგებული, წესიერი, შრომისმოყვარე... კარგადაც სწავლობდა და მასწავლებლებისგან შენიშვნას თითქმის არ იმსახურებდა. ამასთან, მუდამ ჰქონდა საკუთარი აზრი და, თუმცა გარეგნულად მშვიდი იყო, სკოლაში ვერავინ ვერაფერს უბედავდა, თვით ყველაზე „აცვენილი“ მოსწავლეებიც კი.

მოკლედ, რობერტ შავლაყაძე არ ყოფილა ისეთი მოსწავლე, ადრე სანიმუშო პიონერს თუ კომკავშირელს რომ ეძახდნენ. ასეთები, მაშინაც და დღესაც, მხოლოდ მასწავლებლებსა და მშობლებში თუ მოიპოვებდნენ ავტორიტეტს, თანატოლებში — ვერასოდეს. რობერტზე სიცილით მიაბებს რამდენიმე ეპიზოდი სკოლის ცხოვრებიდან:

ერთხელ ერთმა მოსწავლემ თანაკლასელი სცემა. გალახული სქელი, დონდლო ბიჭი ყოფილა, უტირია კიდეც და რობერტს შესცოდებია: ერთი კვირით ჩემთან წამოდი სავარჯიშოდ და ნახავ, მერე შენს დამჩაგვრელს რა დღეს დააყრიო. წაიყვანა მაშინდელ ლენინის სტადიონზე, ჯერ სირბილი დაანყებინა. მე-

ექვსე წრეზე ღრმად აქოშინებული პოტენციური სპორტსმენი გაოცებულია — შე ასეთო და ისეთო, რა დღეში ჩამაგდე, აღარც ვარჯიში მინდა და აღარც იმ ბიჭის ცემაო. და გაქცეულა სახლში...

ერთხელაც რობერტს, ეტყობა, გაკვეთილები გრძელი ეჩვენა, სახლიდან მალეიძარა მოუტანია, დაუქოქავს და ბუხარში შეუდგამს. ბუხრიდან ზარს 15 წუთით ადრე დაურეკავს და მასწავლებელსაც გაკვეთილი დაუმთავრებია. ბიჭები გოგონათა სკოლისკენ გაქანებულან, რომელიც იმავე შენობაში იყო. ასე გაგრძელებულა რამდენიმე დღე. ბოლოს უფროსებს „საქმე გაუხსნიათ“ და რობერტიც მაგრად დაუტუქსავთ.

კლასში რუსული ენის გაკვეთილი არავის უყვარდა, რადგან გრძელ-გრძელ ლექსებს აზებირებინებდნენ. გამოსავალს რობერტმა მიაგნო: მასწავლებელს, დიდსაყელოიან, სქელ პალტოზე შეუმჩნეველად მიაკრავდა ლექსის ტექსტს. გამოძახებული მოსწავლე მასწავლებლის გვერდით დადგებოდა და გაკვეთილს ჩააბულბულებდა...

რობერტ შავლაყაძის მეგობრებმა ბავშვობის მხიარულ ამბებს სევდიანი ეპილოგი მოაყოლეს. ტრადიციისამებრ, თანაკლასელები ისევ შევიკირბეთ. ექვსნილა დავრჩენილვართ, დანარჩენებმა მიგვატოვესო...

რობერტ შავლაყაძეს ერთხელ თვით მილიციის გენერლისგან მოუწია მოესმინა ასეთი შეგონება: „თბილისში მილიციის განყოფილება არ არის, აღრიცხვაზე რომ არ იყო. იმედი მაქვს, ანი მაინც ჭკუით იქნები და შარს არც შენ გადაეყრები და არც მე.“

რა დასამალია და, გენერალი არ ტყუოდა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ რობერტს სულ სხვის გამო უხდებოდა ჩხუბი, სულ სხვის დაცვაში იყო. ზემოთ მოგახსენეთ, რომ პატარობიდანვე ვერ იტანდა უსამართლობას. ერთხელ ტრამვაიში მისი მეგობრის საცოლეს უცხო ბიჭები უდიერად მოექცნენ. რობერტმა ტრამვაის მოაჯირს ჩაავლო ხელი და... ცოტა ხანში უნივერსიტეტის გვერდით, მილიციის განყოფილებაში აღმოჩნდა კარგად ნაცემ ხულიგნებთან ერთად...

მაღალმა, მოქნილმა და დაკუნთულმა ახალგაზრდამ მართლაც კარგი ჩხუბი იცოდა. „დინამოსთან“ მეგობრებთან ერთად მოდიოდა, როცა სამი თავხედი ახალგაზრდა აუხირდათ. მომხდურთაგან ორმა ბალთიანი ქამარი დააძრო, რობერტმა ორივე ქამარი ჰაერში დაიჭირა, წაართვა და დაატრიალა. იმ სამმა ისე მოკურცხლა, მოტოციკლით ვერ დაენეოდი. მაგრამ ცუდი ის იყო, რომ მანამდე

შავლაყაძის მეგობრებმა მოუსვეს. უბანში ერთი ქურდი ჰყავდათ, ტუია ერქვა. იმ ტუიამ რობერტის ძმაკაცებს სულ კალოშით სცემა — მეგობარი გაჭირვებაში როგორ მიატოვეთო. ერთმა ცნობილმა „რამკიანმა“ ხუმრობით დაამუნათა: მთელი ცხოვრება „ზაბორებს“ ვახტები და არავის არაფერი მოუცია, შენ ერთხელ გადახტი და ასეთი სახელი გაქვსო. კარგ საქმეზე უნდა გადახტეო, — უპასუხა თურმე ოლიმპიურმა ჩემპიონმა...

რომის ოლიმპიადის დროს მისი უფროსი ქალიშვილი როლა წლისაც არ იყო. ყოველი ნახტომის დროს მამა, თურმე, მის სახელს იმეორებდა... რობერტი ქალბატონ თამარ კვიციანზეა დაქორწინებული და მშვენიერი ოჯახი აქვთ. მას ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილიც.

...სპორტის საქმეები თავიდანვე კარგად აეწყო, მით უმეტეს, რომ რობერტი მართლაც სპორტულ უბანში იზრდებოდა. როგორც მრავალმა დიდუბელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმაც ბევრ სახეობაში მოსინჯა ძალა. კრივზეც დადიოდა და ვარჯიშის დროს ერთმა გამოცდილმა მოკრივემ ახალბედა რობერტს გამეტებით, უძლიერესი დარტყმა მიაყენა. მერე აღარაფერი ახსოვს; თურმე ხელთათმანები წაიძრო, მეტოქის თავი ხელში მოიგდო და იატაკზე არტყმევიწინებდა. ცხადია, გამოაგდეს — ხულიგანი ყოფილხარ, აქ აღარ დაგინახოთო... დადიოდა ცურვაზე, ფარიკაობაზე, ცხენოსნობაზე. მერე იყო კალათბურთი, ფრენბურთი...

ერთხელ, მეშვიდე თუ მერვე კლასში იყო, ფიზკულტურის მასწავლებელმა ილია როინიშვილმა უთხრა, სიმაღლეზე ხტომაში უნდა გამოხვიდეო. რობერტი, როგორც ვთქვი, „დინამოს“ გვერდით ცხოვრობდა და იქვე ახლოს სწავლობდა მაშინდელ რკინიგზის მე-3 სკოლაში. მასწავლებლის წინადადებაზე უარი თქვა, მაგრამ შემდეგ სკოლის დირექტორის თხოვნას ველარ გადავიდა. მკაცრი დირექტორი ჰყავდათ, მიხეილ შაიშმელაშვილი (დღეს ეს სკოლა სწორედ მიხეილ შაიშმელაშვილის სახელობისაა). დირექტორის შიში ჰქონდათ, მაგრამ არც მიხეილ შაიშმელაშვილი და არც კლასის დამრიგებელი კლიმენტი კაპანაძე ბიჭებს არ უყვარდათ, რადგან „უადგილო ადგილას“ წამოადგებოდნენ ხოლმე თავზე. მაგრამ დრო რომ გავიდა, ეს პედაგოგები სათაყვანებელ ადამიანებად გადაიქცნენ. „მათი წყალობით, მთელი კლასი წესიერები გამოვედით“, — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი. უკვე დავაჟკაცებული, დაცოლშვილებული რობერტი თავის ყოფილ დირექტორს ან კლასის დამრიგებელს რომ დაინახავდა, მაშინვე გადააგდებდა სიგარეტს.



რობერტ შავლაყაძეს
მებრძოლის ხასიათი
ჰქონდა. გარეგნულად
რბილი, ინტელიგენტური
და ცოტა ფლეგმატური
რობერტი უცებ
გარდაიქმნებოდა, როცა
ინწყებოდა დიდი
„შეტაკება“. თავმოყვარე
და ამაყი შავლაყაძე
მამაცურად ერთვებოდა
მეტოქეებთან ბრძოლაში,
რომლებიც ობიექტურად
მასზე ძლიერები იყვნენ,
და თუ მას წარმატების-
თვის მინიმალური შანსი
მაინც რჩებოდა,
ყველაფერს აკეთებდა
იმისთვის, რომ იგი
გამოეყენებინა.

ის შეჯიბრება, ანუ მოსწავლეთა საქალაქო პირველობა რობერტ შავლაყაძემ მოიგო — 155 სანტიმეტრზე გადახტა. მაშინვე რეგულარული ვარჯიში დააწყებინეს. მწვრთნელი სახელიანი ჰყავდა, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი გაბრიელ ათანელოვი, რომელსაც 195 სანტიმეტრი ჰქონდა გადალახული. მოგვიანებით ათანელოვი სოჭში გადასახლდა და იქ მუშაობდა.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში გავარჯიშებულმა ახალგაზრდამ მალე მიაღწია წარმატებებს. რამდენიმეთვიანი წვრთნის შემდეგ რობერტმა 175 სანტიმეტრი დაძლია. 1951 წელს მე-11 კლასს ამთავრებდა, როცა სპორტსაზოგადოება „დინამოში“ მიიღეს, მეხანძრედ გააფორმეს და 50 მანეთი ჯამაგირი დაუნიშნეს. „დინამოში“ ბორის დიაჩკოვი მეურვეობდა. „დინამო“, მოგეხსენებათ, ყველაზე ძლიერი სპორტული ორგანიზაცია იყო საბჭოთა კავშირში. რობერტმა 1954 წელს ხარკოვში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიგო იმ დროისთვის სოლიდური შედეგით — 190 სანტიმეტრი. მაშინვე ხელფასი მოუმატეს. სანწვრთნელ შეკრებებზე კი ტალონებს აძლევდნენ და სახლში კარაქი და შაქარი მიჰქონდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც იმ 190-ის შემდეგ ჩარიცხეს და უკვე საკავშირო სტიპენდიას იღებდა.

რობერტ შავლაყაძეს, რა თქმა უნდა, ღვთით ნაბოძები ნიჭი ჰქონდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნამდვილი სპორტსმენის ხასიათი. შრომისმოყვარე გახლდათ და პასუხისმგებლობის გრძნობაც ბავშვობიდან მოსდევდა. მაგრამ მარტო ეს არ იყო. იგი სხვებისგან ნასწავლს საკუთარსაც უმატებდა, იმ ვარჯიშებს, რომლებიც თვითონ მოიფიქრა ხანგრძლივი წვრთნის შემდეგ. ასეთი რამ გამორჩენილი სპორტსმენებისთვის უცხო არ არის. უამისოდ ცოტა ვინმე თუ გაუმხდარა დიდი ჩემპიონი. რობერტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითონ ქმნიდა საკუთარ თავს. სადაც უნდა ყოფილიყო — პარკში, მინდორზე, კიბეებზე — გამორბენის რიტმს იმუშავებდა, ან ტერფს ივარჯიშებდა; თუ ძლიერი ტერფი არ გაქვს, კარგ შედეგზე არც უნდა იოცნებო. ცდილობდა მალლა ხის ფოთლებს მისწვდომოდა, საფეხურებზე ასკინკილით არბოდა. დაუღალავად ივარჯიშებდა მხრებსაც — სიმაღლეზე მსტომელს ძლიერი, გავარჯიშებული მხრები უნდა ჰქონდეს, მას კი პირველ ხანებში მხრები ხტომისას განზე „მიურბოდა“. ეს მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა 300-კილოგრამიან შტანგას გაიდებდა მხრებზე და ასე ჩაბუქნავდა ხოლმე. „ამას მე ვერ შევძლებ“, — ამბობდა გაოცებული ძალოსანი გიორგი სანიკიძე, მისი მეგობარი. როცა შინ იყო, ხატავ-

და — თამასასთან მისვლას, არეკნს, დაშვებას, თან გონებაში წარმოიდგენდა, როგორ გადაახტებოდა ამა თუ იმ სასურველ სიმაღლეს. იმ დროს და შემდეგაც ყველაზე ხშირად და ბევრითად ისეთ ვარჯიშებს იმეორებდა, რომლებიც განსაკუთრებით სძულდა.

190 სანტიმეტრი ყველაზე პრიმიტიული მეთოდით, ე. წ. გადაბიჯებით გადალახა. ხტომის სხვა სტილისა არაფერი გაეგებოდა. ატყდა ერთი ამბავი, მომავალი ვარსკვლავი გვეზრდებო. ბორის დიაჩკოვმა მაშინ დაუნყო გადაბირება, ჩემთან უნდა ივარჯიშოო. რობერტი სპორტკომიტეტში დაიბარეს და იქაც იგივე მოსთხოვეს. პერსპექტიული მხტომელი კი თავის მწვრთნელებთან, გაბრიელ ათანელოვთან და დავით ბეთლემიძესთანაც მშვენივრად გრძნობდა თავს, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

რობერტი უკვე საკავშირო სტიპენდიას იღებდა და მისგან მაღალ შედეგებს ითხოვდნენ. მოსკოვიდან ჩამოსულმა სპორტულმა ჩინოვნიკმა სიმაშკომ შავლაყაძეს საქართველოს სპორტკომიტეტის სხდომაზე სახელოვანი ჩემპიონების — ბორის პაიჭაძის, ნინო დუმბაძის, რაფაელ ჩიმიშკიანის, ელენე გოკიელისა და სხვათა თანდასწრებით ირონიულად უსაყვედურა: როდემდე უნდა იხტუნაო ორ მეტრზეო. რაფაელ ჩიმიშკიანმა, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონმა, სიმაშკოს ასე მიმართა: „ჯერ ნახეთ, რობერტი რა პირობებში ვარჯიშობს — საშინელ სიცივეში, შხაპიც კი არა აქვს. არც თქვენი სტიპენდიაა საკმარისი სპორტსმენისთვის. ელემენტარული პირობები შეუქმენით და შედეგი მერე იქნება.“

იმ პერიოდში რობერტს ტრავმები აწუხებდა, მაგრამ მოსკოველი ჩინოვნიკის ვიზიტის შემდეგ, რომ იტყვიან, პირდაპირ აინყვიტა და ერთიმეორეზე უკეთესი შედეგები აჩვენა. „შე კაი კაცო, სიმაშკოს ჩამოსვლას ელოდებოდი“? — უკვირდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, დიდ სპორტულ მოღვაწეს გიორგი სიხარულიძეს.

1954 წელს ლესელიძეში რობერტ შავლაყაძემ საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა. ეს მოხდა საქართველოს, უკრაინისა და ლენინგრადის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების შეხვედრაზე. იქ რობერტი 202 სანტიმეტრზე გადახტა. სახტომი სექტორის საყრდენები მეტის საშუალებას არ იძლეოდა. მერე აგურები დაამატეს და ქართველმა მხტომელმა 205 სანტიმეტრიც მოიტოვა უკან. მაგრამ რაკი ეს ამბავი ამხანაგურ სამატჩო ტურნირზე მოხდა, მსაჯთა საკავშირო კო-

სსრ კავშირის
მძლეოსანთა ნაკრები.
პირველ რიგში,
მარჯვნიდან პირველი —
რობერტ შავლაყაძე



მისიაში რეკორდი არ დაამტკიცეს. მთავარ მიზეზად კი ის დაასახელეს, შეჯიბრების შესახებ აფიშები არსად გამოკრულაო(!?).

მეორე დღეს მოსკოველი იგორ კაშკაროვი მოსკოვში 202 სანტიმეტრზე გადახტა და სწორედ ეს შედეგი დაამტკიცეს საბჭოთა კავშირის რეკორდად. „მე არასდროს ვილტვოდი რეკორდებისკენ. ჩემი მთავარი ამოცანა იყო მაღალი ადგილისთვის ბრძოლა და ხტომის ტექნიკის გაუმჯობესება“, — ამბობს რომის ოლიმპიადის ჩემპიონი.

რობერტ შავლაყაძემ, ყველასთვის მოულოდნელად, სერიოზულ წარმატებებს საკმაოდ გვიან მიაღწია. დიდი გამარჯვებებისკენ მიმავალ გზაზე დიდმა განსაცდელმაც შეაფერხა; 1955-1957 წლებში მუხლი სტკიოდა და ექიმმა ვარჯიში აუკრძალა. სიმალლეზე ხტომაზე შეყვარებული ახალგაზრდა ჯერ სასონარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ აპათია მალე დაძლია და ისევ ძველ რობერტად იქცა. სამედიცინო წიგნებს კითხულობდა, თან ექიმებსაც აკითხავდა კონსულტაციებისთვის. ერთ რამეს მიხვდა: როცა სპორტსმენს კუნთები გავარჯიშებული არა აქვს, მთელი დატვირთვა კოჭისა და მუხლის სახსრებზე მოდის და, შესაბამისად, იზრდება მათი დაზიანების ალბათობა. ამიტომ ფრთხილად, ისე, რომ ნატკენი მუხლი არ გაელიზიანებინა, კუნთების, ტერფის გავარჯიშება დაიწყო. თავიდან 50-კილოგრამიანი შტანგითაც ვერ აკეთებდა ჩაბუქნას, მერე კი 300-კილოგრამიანსაც უძლებდა.



სსრ კავშირის
ჩემპიონატზე რობერტ
შავლაყაძემ თავისი
საუკეთესო შედეგი აჩვენა
(217 სმ) და ოქროს
მედალი მოიპოვა.
კიევი, 1964 წელი

როცა კარგად გავარჯიშებული რობერტი ისევ ესტუმრა ექიმს, მან გაოცება ვერ დაფარა და მაშინვე მისცა ასპარეზობის უფლება. „თვითგანკურნებულმა“ შავლაყაძემაც მაშინვე დაამყარა საქართველოს რეკორდი — 202 სანტიმეტრი. ეს შედეგი შემდეგ თანდათან 213 სმ-მდე გაზარდა. საკავშირო ნაკრებში რობერტი ყველას ასწრებდა 20 მეტრზე სირბილში, წარმოიდგინეთ, თვით სპრინტერებსაც კი. 100 მეტრზე და უფრო გრძელ დისტანციაზე, ცხადია, მორბენლები სჯობნიდნენ, მაგრამ რობერტისთვის ის 20 მეტრიც ზედმეტი იყო, სულ რვა ნაბიჯი სჭირდებოდა თამასამდე მისარბენად. სიმაღლეზე ხტომის მაშინდელი სტილით შეუძლებელი იყო შედეგის გაზრდა სისწრაფის, ანუ სწრაფი გამორბენის ხარჯზე. ამის საშუალება მძლეოსნებს ფოსბიურის სტილმა მისცა. იმ სტილით კი, რომლითაც რობერტ შავლაყაძე ხტებოდა, წელი გამორბენის შემდეგ მხოლოდ არეკნისა და ტექნიკის ხარჯზე მიიღწეოდა კარგი შედეგი.

ერთხელ საკავშირო სპორტკომიტეტმა კურიოზული ბრძანებულება გამოსცა. ის სამი მხტომელი, რომლებიც პირველები დაძლევედნენ 216 სმ სიმაღლეს, საგანგებო ოქროს მედლებით დაჯილდოვდებოდნენ. რატომ აიღეს ორიენტირად მაინცდამაინც 216 სანტიმეტრი, ამას, ალბათ, თვითონ სპორტის ჩინოვნიკებიც ვერ გეტყვოდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ იმ დროს მსოფლიოში სიმაღლეზე ხტომა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე და კარგი შედეგებიც იშვიათი იყო.

216 სანტიმეტრზე პირველი გადახტა იური სტეპანოვი, რომელიც შემდეგ... სულთ ავადმყოფთა კლინიკაში მოხვდა. სხვათა შორის, ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა სიმაღლეზე მხტომელთა შორის, რასაც, შესაძლოა, მძლეოსნობის ამ სახეობისთვის დამახასიათებელი, ხანგრძლივი, განსაკუთრებული დაძაბულობა და მისგან გამონეული დიდი ფსიქოლოგიური სტრესები განაპირობებდა. ვლადიმირ იაშჩენკომ, რომელმაც თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე, ლამის 12 საათზე, 35 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა (234 სმ), სწორედ ფსიქიკური აშლილობის გამო ნაადრევად დაანება თავი სპორტს. იაშჩენკო უკანასკნელი მოჰიკანი გახლდათ — სულ ბოლოს მხოლოდ ის ხტებოდა ე. წ. გადაგორებითი მეთოდით, როცა ფოსბიურის სტილი კარგა ხნის დამკვიდრებული იყო. მეხიკოს ოლიმპიადის შემდეგ თვითონ რიჩარდ ფოსბიურიც ძალიან უცნაურად იქცეოდა და საგონებელში ავდებდა ჟურნალისტებს: პრესკონფერენციებზე სავსებით სერიოზულად უმტკიცებდა მათ, რომ ახალი სტილი... უცხოპლანეტელებმა ასწავლეს. თუ სახელგანთქმულ სპორტსმენს დაუფუჯვრებთ, ეს ისტორია ასე წარმოგვიდგება: ერთ დღეს ქალაქგარეთ, პატარა სპორტულ ბაზაზე ვარჯიშის დროს მას უცნაური, არამინიერი არსებები მიუახლოვდნენ და ჰკითხეს, თუ რას აკეთებდა. „რაც შეიძლება მაღლა გადახტომა მინდა“, — უპასუხა თურმე ფოსბიური. იმ არსებებმა ხტომის მეთოდი დაუნუნეს, მერე საიდანლაც მოიტანეს პატარა სამკაპა და სარტყელით ფოსბიურის წელზე დაუმაგრეს. „როცა გამოვექანე, ამ სამკაპამ შემატრიალა და ზურგით ისე გადავხტი, როგორც ახლა ვხტები“, — ირწმუნებოდა მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი...

სტეპანოვის მიღწევიდან კარგა ხნის შემდეგ დათქმული მაგიური სიმაღლე, ბოლოს და ბოლოს, ვალერი ბრუმელმაც აიღო. მესამე შავლაყაძე იყო — რომის ოლიმპიადაზე გასამარჯვებლად ხომ მას სწორედ 216 სანტიმეტრის დაძლევა დასჭირდა. სპორტკომიტეტის ოქროს მედალი, რომის ოლიმპიადის უმაღლეს ჯილდოსთან ერთად, ახლა საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმში ინახება, უფრო სწორედ, ინახებოდა, რადგან ის იქიდან მოიპარეს. შავლაყაძის ნახტომის შემდეგ 216 სანტიმეტრს, ცხადია, ლილა გაუხუნდა, რადგან მკაცრად იყო ნაბრძანები — დაჯილდოვდება მხოლოდ პირველი სამი მხტომელი, რომლებიც ამ სიმაღლეს დაძლევენ. საერთოდ სპორტკომიტეტის ბრძანებულებამ თავისი დადებითი როლი მაინც შეასრულა.


ძალიან ძლიერი სპორტსმენი იყო კაშპაროვიც, მაგრამ ხანდახან თაღლითობასაც არ თაკილობდა. ერთხელ მას აქაურმა მსაჯმა კონსტანტინ მალიშკოვმა თბილისში, სსრკ ჩემპიონატის მსვლელობისას ქაცვებიანი ფეხსაცმლიდან რბილი რეზინი ამოუღო, რომლის გამოყენება შეჯიბრების დროს აკრძალული იყო.

ეს შეჯიბრება რობერტს მწარედ დაამახსოვრდა და ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, არ დავიწყებია. საქართველოს ნაკრებს შეკრება დიღმის სპორტულ ბაზაზე ჰქონდა. წამოწოლილს, ფეხები მალლა დაეწყო და ბრძოლისათვის ემზადებოდა. ხანგრძლივმა სიჩუმემ დააეჭვა, გამოვიდა გარეთ და სადღა იყო გუნდი — ყველა სტადიონზე გამგზავრებულიყო... მის გარეშე. ქუჩაში მანქანა არ დადიოდა — ქალაქში სპორტულ სიარულში ტარდებოდა შეჯიბრება და ყველა გზა გადაკეტილი იყო. დიღმიდან სწრაფი სიარულითა და სირბილით მიაღწია „დინამოს“ სტადიონამდე და არაქათგამოცლილს, კრუნჩხვები დაეწყო. თანაც გაუგონარი რამ მოხდა: თაღლითობაში გამოჭერილ კაშპაროვს თბილისელმა მსაჯებმა... შეჯიბრების გაგრძელების უფლება მისცეს. დაღლილმა და თავისიანების მუხთლობით გაღიზიანებულმა რობერტმა წააგო ეს შეჯიბრება მშობლიურ ქალაქში, თუმცა შემდეგ, 1958 წელს, დამაჯერებელი რევაში აიღო აქვე.

სწორედ კაშპაროვი და შავლაყაძე გამოიყვანეს საბჭოთა მწვრთნელებმა 1959 წელს ფილადელფიაში, გიგანტთა მატჩში, ანუ აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ტრადიციულ შეხვედრაში. პრესკონფერენციაზე ამერიკელებმა უაპელაციოდ განაცხადეს, სიმაღლეზე ხტომა ჩვენი სახეობაა და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებაო.

მაგრამ რობერტი სხვაგვარად ფიქრობდა. პირველად სწორედ მაშინ გაუსწორა თვალი თამამად ამერიკელებს, თუმცა საამისო საფუძველს თითქოს არაფერი აძლევდა: შეჯიბრების მონაწილეთაგან ყველაზე დაბალი შედეგი სწორედ მას ჰქონდა — სულ 208 სანტიმეტრი. გარდა ამისა, ამერიკელთა რიგებში იყო მეღბურნის 1956 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და რეკორდსმენი ჩარლზ დიუმასი, რომელმაც ჯერ კიდევ სამი წლის წინ ავსტრალიაში 214 სანტიმეტრი დაძლია. ეს გამარჯვება გედის სიმღერა აღმოჩნდა ოკეანისგაღმელებისთვის, რადგან მათ, როგორც ვთქვით, რომის ოლიმპიადის შემდეგ ტკბილ მოგონებადღა დარჩათ ძველი დიდება სიმაღლეზე ხტომაში.

ოლიმპიური
კვარცხლბეკი:
ჯონ თომასი,
რობერტ შავლაყაძე,
ვალერი ბრუმელი.
რომი, 1960 წელი



რომში რობერტ
შავლაყაძემ ყველა
ოლიმპიური სიმაღლე
პირველი ცდით აიღო





რობერტ შაელაყაძის
ოქროს ნახტომი.
რომი, 1960 წლის
1 სექტემბერი

მსოფლიოს ხუთგზის
რეკორდსმენი ჯონ თომასი
გამარჯვებას ულოცავს
რობერტ შაელაყაძეს

საბჭოთა სპორტსმენებიდან მხოლოდ შავლაყაძეს და კიდევ ერთი-ორს ჰქონდა ქალაქში მარტო სიარულის უფლება. ხელმძღვანელობა მას კარგად იცნობდა. ფილადელფიაში ერთმა ამერიკელმა, რომელმაც ქართველ სპორტსმენს გამარჯვების შემდეგ გადაბირება დაუპირა, კარგი ალიყურიც მიიღო მისგან. ამის გამო მოსკოვში ჩამოსულ შავლაყაძეს ლამის საზეიმოდ დახვედრა მოუწყვეს და სამაგალითოდ დაუსახეს ყველას: ასეთი უნდა იყოს საბჭოთა სპორტსმენი.

...ცხელ და საშინლად ტენიან ქალაქში, სადაც 10 კილომეტრზე მორბენლები საკაცეებით გაჰყავდათ და სიმაღლეზე ხტომაში გამორბენი პირდაპირ ფეხბურთის მოედანზე, ბალახზე იწყებოდა, ქართველმა რობერტ შავლაყაძემ დაუმტკიცა ამერიკელებს, რომ ძველ დიდებას უნდა გამომშვიდობებოდნენ. მაშინ ზუსტად არ იცოდა, რამდენი სანტიმეტრით აჯობა ოლიმპიურ ჩემპიონს, რადგან მასპინძლები სიმაღლეს ფუტებითა და დუიმებით ზომავდნენ, მაგრამ როცა შედეგები მეტრული საზომით გამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ რობერტი სამი სანტიმეტრით ყოფილა დიუმასზე წინ. მასპინძლებს კაშკაროვმაც აჯობა და მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ იქაური გაზეთები შავლაყაძეზე წერდნენ, კულტურული სპორტსმენია, ნამდვილი ჯენტლმენივით იქცევაო. დიუმასმა და მისმა თანაგუნდელმა უილიამსმა მარცხი, რა თქმა უნდა, შემთხვევითობას დააბრალეს და დაიქადეს: წინ რომის ოლიმპიადაა და საბჭოელებს იქ კარგ გაკვეთილს ჩავუტარებთო. მაგრამ იმაზე უკვე ვილაპარაკეთ, ვინ ვის ჩავუტარა გაკვეთილი.

ამერკელმა თარჯიმანმა გოგომ გამარჯვებული ქართველი სულმოუთქმელად, სპორტულსამოსიანი, მაშინვე გააქანა ტელევიზიაში. იქ საკმაოდ მომზადებული დახვდნენ, რაღაც-რაღაცები წაეკითხათ საქართველოზე. ჯერ უღვაშზე ჰკითხეს, რატომ ატარებო. შავლაყაძემ უთხრა, უღვაში წამუსიანობის საბუთად ითვლებოდა საქართველოშიო. მერე ღვინოზე ჩამოუგდეს სიტყვა — ასე რატომ გიყვართო. „ღვინო ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის, თუ ზომიერად დალევი“, — მიიღეს პასუხად. მერე უფრო „ვერაგული“ კითხვა დაუსვეს, ამერიკელი ქალები თუ მოგნონსო. იმ ეშმაკ თარჯიმანს შეუმჩნევია, რომ ქართველი სპორტსმენი დროდადრო მინიკაბიან გოგოებს აყოლებდა თვალს. რობერტმა უპასუხა: ჩვენთან, საქართველოში, ყოველთვის ქალის კულტი იყო, მოწონებით კი ნებისმიერი ქვეყნის მშვენიერი ქა-

ლები მომწონსო. მაგრამ სიურპრიზები ტელევიზიით არ დამთავრებულა; სასტუმროში მობრუნებულს შესასვლელში საბჭოთა ნაკრების წევრი ყველა ქალი დახვდა, ხელშიც კი აიტაცეს — რობერტ, ჩვენ ყველანი ვუყურებდით გადაცემას და გვეგონა, ამერიკელ ქალებს ზეცაში აიყვანდი, ჩვენ კი არაფრად ჩაგვაგდებდიო...

შავლაყაძე არა მხოლოდ ოსტატობით, არამედ ტაქტიკითაც აბნევდა მეტოქეებს. გინახავთ, ალბათ, ზოგიერთი მხტომელი ისე გადაეცლება საკმაოდ დიდ სიმაღლეს, რომ ზურგსა და თამასას შორის მანძილი ერთი მტკაველია, მაგრამ შემდეგ, მორიგ სიმაღლეზე, კრიტიკულ სიტუაციაში იბნევა. ქართველი სპორტსმენი კი, რომელსაც უზადო ტექნიკის გამო სწორედ „ტექნიკოსს“ ეძახდნენ, საოცრად ზუსტად ზომავდა არეკნის სიძლიერეს და ყველა სიმაღლეს, დაბალსაც და მაღალსაც, თანაბრად, თითქოს ძლივძლივობით იღებდა. ამასთან, ლამის ყოველი ნახტომის შემდეგ თამასა ნაზად ქანაობდა. მხტომელი არ არსებობს, ძირითად მეტოქეებს შეჯიბრების დროს ცალი თვალით მაინც არ უყურებდეს. დაინახავდნენ, შავლაყაძე ძლივს გადახტაო და მომდევნო სიმაღლისთვის თავს დაიმშვიდებდნენ. მერე, მომდევნო სიმაღლეებზეც იგივე სურათი რომ მეორდებოდა და თამასის მაცდური რხევა გრძელდებოდა, ამაოდ დაარხენებულებს ნერვები ეშლებოდათ. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მეტოქეებთან გამკლავება კი გაცილებით იოლია.

რობერტს მართლაც ჩემპიონის ხასიათი ჰქონდა: დამარცხებას ვერასდროს და ვერაფერში ვერ ურიგდებოდა. ჭადრაკი ან ნარდიც რომ წაეგო, ღამე არ ეძინა. ერთხელ ერთმა ლენინგრადელმა კოჭლმა მხტომელმა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მოუგო — 2 მეტრს გადაეგლო, როცა რობერტი მხოლოდ 190 სანტიმეტრზე გადახტა. თავისი დამმარცხებლის გვარი ჩაინერა და მომდევნო შეჯიბრებამდე დღეებსა და საათებს ითვლიდა. შემდეგ, როცა დრო დადგა, მთელი 15 სანტიმეტრით გაუსწრო.

რომის ოლიმპიადის ჩემპიონისთვის მკაცრი რეჟიმი მიუღებელი იყო. თუ ზოგს ზედმეტ ჭიქა წყალს ვერ დაალევიანებდი, ის ორგანიზმს სხვადასხვაგვარი შეზღუდვით ზედმეტად არ ტანჯავდა, ზომიერების ფარგლებში საკუთარ თავს სპორტსმენის პირობაზე თითქოს ზედმეტ თავისუფლებასაც კი აძლევდა. შეჯიბრებამდე არ უნდა დაიხარჯო! — ასეთი იყო მისი დევიზი (იგი მორალურ გადაღლას გულისხმობდა).



**საჩემპიონო ნახტომი.
რომი, 1960 წლის
1 სექტემბერი**

რომის ოლიმპიადაზე, ფინალის წინა დღეს, რობერტ შავლაყაძემ რომის სტადიონ „აკვანიტოზაზე“ მსუბუქი მოთელვა ჩაატარა და ოლიმპიურ სოფელში დაბრუნდა. მის ოთახს მორიგეობით ალაგებდა დედა-შვილი. იმ დღეს შვილის ჯერი იყო. რობერტი ღია კარში შევიდა და ადგილზე გაქვავდა — გოგო იატაკს წმენდდა. 1960 წელი იყო, მინი კაბების ხანა. ახოვანი, შავუღვაშა, ფინალისთვის ენერგიამოჭარბებული ქართველი ახალგაზრდის თვალწინ მაშინდელი, საბჭოური ყოფისთვის უჩვეულო ევროპული მოდა იყო წარმოდგენილი... თან ასეთი აშკარა სახით... ოლიმპიური ჩემპიონი ახლაც ვერ გეტყვით, რა მოხდა სასტუმროს ნომერში იმ საღამოს. მაშინ კი შიშმა შეიპყრო, იცოდა, საბჭოთა სპორტსმენისთვის დაუშვებელი იყო ასეთ „გაურკვეველ“ ვითარებაში მოხვედრა. მაგრამ შიშთან ერთად უცნაურ რამესაც გრძნობდა — როგორ ეუფლებოდა შეება წინასაშეჯიბრებო მღელვარებით აღსავსე სხეულს.

შემდეგ ყველაფერი როგორღაც თავისთავად მოგვარდა. მშვიდად იყავი, ყველაფერი რიგზეა! — უთხრა რობერტს ცნობილმა სიგრძეზე მხტომელმა იგორ ტერ-ოვანესიანმა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საბჭოთა ნაკრებში. მას



ავტოგრაფი
ჩემპიონისგან

როგორღაც შეეტყუო ეს ამბავი. ქართველი მძლეოსანი შეჯიბრების დროს ერთხანს კიდეც ფიქრობდა იტალიელ გოგონაზე, შემდეგ კი ისიც გაქრა მეხსიერებიდან და რობერტ შავლაყაძე მართო დარჩა თამასისა და სხვა მხტომელების პირისპირ.

რაც მთავარია, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, მომავალი ჩემპიონი დიაკვანივით მშვიდი იყო მრისხანე მეტოქეებთან მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში... იმ დროს, როცა, მაგალითად, ფრანგები ქალების თანხლებით დადიოდნენ შეჯიბრებებზე, საბჭოთა სპორტრსმენებს მეცნიერ-მუშაკები და გუნდის ხელმძღვანელები წინასაშეჯიბრებო და საშეჯიბრებო პერიოდში სასტიკ, სპარტანულ რეჟიმს უწესებდნენ. ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა დელეგაციის სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა რობერტს გაოცებით უთხრეს კიდეც, ასეთი მშვიდი სახტომ სექტორში არასოდეს გვინახიხარო. რა იცოდნენ, რომ შავლაყაძემ სწორედ მათი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და ალბათ ამიტომ იყო ოლიმპიურ სარბიელზე ასე მშვიდად. ეს რომ სცოდნოდათ, ან საბჭოთა სპორტში სექსუალური რევოლუცია დაიწყებოდა, ან რობერტს გარიცხავდნენ ნაკრებიდან. თუმცა, მოგვიანებით მაინც გაიგეს ყველაფერი.

საბჭოთა სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა დაჟინებით მოითხოვეს, რომ შავლაყაძეს დაწვრილებით გაეცნო მათთვის გამარჯვების წინა დღეების ქრონიკა. ქართველმა ათლეტმა იუარა, ამას მაინც ვერ შეიტანთ თქვენს ნაშრომებშიო, მაგრამ დიდი ფიცი-მტკიცის შემდეგ სხვა ამბებთან ერთად როგორღაც უამბო მისთვის მეტად საინტერესო, მათთვის კი სევდიანი ამბავი იტალიელ გოგონაზე. მხოლოდ ერთი ხანდაზმული, მაგრამ ყოჩალი ლენინგრადელი აკადემიკოსი წამოხტა მხარდასაჭერად — ასეა საჭირო, აბა, რას გეუბნებოდითო. მერე ეს მეცნიერი საგანგებოდ თბილისში ესტუმრა რობერტ შავლაყაძეს.

მაგრამ მთავარი იყო მისი ლეგენდარული დღიური, რომელსაც ერთხანს საგულდაგულოდ მაღავდა, მაგრამ ლეგენდამ თავი არ დამალა. შავლაყაძეს რუსეთში დიდ პატივს სცემდნენ. ერთხელ, მაღახოვკაში, სანვრთნელ შეკრებაზე ყოფნის დროს, იქ მრისხანე რომანოვი ჩავიდა, რობერტს გვერდით მიუჯდა და უთხრა, შენი დღიური მაჩვენეო. მიუტანა. ხაზი ორკაპა ბოლოებით (ფეხებით) ქალს აღნიშნავდა, შემდეგი ხაზი და ზემოთ წინწკლები, შხეფები, ბოთლების რაოდენობაზე მიუთითებდა, ოთხკუთხა შხეფები — ჭიქებზე და მერე მოსდევდა სპორტული შედეგები ყოველივე ამის შემდეგ — ერთმანეთზე საუკეთესო. კომენტარები ქართულად იყო დაწერილი, მაგრამ რომანოვი ყველაფერს მიხვდა. მიხვდა და გაიგო. რუსული ტერმინოლოგიით, ის, როგორც ჩანს, ნამდვილი „მუჟიკი“ იყო.

„და, და, თქვენ მართალი ყოფილხართ. ეს წმინდა მამაკაცური ნიშნებია“, — უთხრა რობერტს და მოინდომა დეტალებში გარკვეულიყო, მეცნიერები მუშაობენ ამ საკითხზე და შენც ჩაერთავთო. „როცა სპორტს თავს დავანებებ, მაშინ ჩამრთეთ“, — უპასუხა ქართველმა მხტომელმა. მკაცრი, დისციპლინის მოყვარული რომანოვის ასეთი ფამილარობა რობერტ შავლაყაძესთან თითქოს პარადოქსია, მაგრამ საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელი მის დიდ გამარჯვებასთან ერთად მის დიდ ავტორიტეტსაც აღიარებდა. ეს არა მარტო მიღწევებიდან, ოლიმპიური ტიტულიდან, არამედ მისი სპორტული ხასიათიდან და ადამიანური თვისებებიდან გამომდინარეობდა.


1964 წელს, ტოკიოს ოლიმპიადის წინ, უკრაინის დედაქალაქში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გაიმართა. იქ უნდა გარკვეულიყო, ვინ გაემგზავრებოდა იაპონიაში. იმ დროს ვალერი ბრუმელს კოსმოსური სიმაღლე — 228 სანტიმეტრი ჰქონდა დაძლეული და უკვე მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ადრინ-

დელი თომასივით ცოცხალ ლეგენდად ქცეულიყო. თანაც თომასის მიღწევის, ანუ 222 სმ სიმაღლისთვის თითო სანტიმეტრის წამატებით 6 მსოფლიო რეკორდი ჰქონდა დამყარებული — ამერიკელზე მეტი. რობერტ შავლაყაძე კი, განვილილ ოთხწლედში, ესე იგი, მთელი ოლიმპიური ციკლის მანძილზე, ისევ თავის რომაულ შედეგზე, 216 სმ-ზე რჩებოდა. 31 წლის რობერტი საკავშირო ნაკრების მწვრთნელებს, ფაქტობრივად, ჩამონერილი ჰყავდათ: გუნდის შეკრებებზე ხანდახან თუ იწვევდნენ, ყურადღებასაც სხვებს აქცევდნენ და არა „ყავლგასულ“ ქართველს — რეკორდსმენ ბრუმელს, ჯერ კიდევ ძლიერ ბოლშოვს, ნიჭიერ კაშკაროვს, სკვორცოვს...

მაგრამ ყველგან და კიევშიც რობერტ შავლაყაძემ კარგად იცოდა: თუ შეჯიბრების წინ ნერვიულობამ შეგჭამა ან ცუდად გეძინა, ორგანიზმი თითქოს გეშლება, სუსტდება და კარგ შედეგსაც უნდა დაემშვიდობო. ნაცნობ გოგოს დაურეკა და პაემანი დაუნიშნა გარეუბანში, პირდაპირ ტრამვაის ხაზის გვერდით, ბოლო მოსახვევში... მერე დაბრუნდა სასტუმროში და მკვდარივით დაიძინა. მეორე დღეს საკუთარ თავს კიდევ ერთი სანტიმეტრი გამოჰგლიჯა და ბრუმელი პირადი რეკორდით — 217 სანტიმეტრით დაამარცხა. მხტომელთა შორის კი არა, სპორტის ყველა სახეობაში მსოფლიოს უპირველეს სპორტსმენად აღიარებულ რუს მძლეოსანს ერთხელაც არ მოუგია შავლაყაძისთვის, თუმცა მასზე 11-12 სმ-ით უკეთესი შედეგი ჰქონდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ 1963 წლის გიგანტთა მატჩი მოსკოვში, რომელსაც 100 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მათ შორის თვით ნიკიტა ხრუშჩოვი. ქართველ მხტომელს ერთ-ერთი ცდილას მხარი ამოუყარდა და ასპარეზობა ველარ გააგრძელა. ერთი გენახათ, როგორ გაილაღა მაშინ ბრუმელმა, პირდაპირ სასწაულები მოახდინა და ბოლოს ის კოსმოსური 228 სანტიმეტრიც მაშინ აიღო. „მე ყოველთვის მეშინოდა მისი. სახტომ სექტორში რომ ვხედავდი, გამარჯვების რწმენა მეკარგებოდა“, — არაერთხელ უღიარებია ამ მართლაც ლეგენდარულ სპორტსმენს. მოსკოვში, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთი საკვირველი ამბავიც მოხდა: როცა არენაზე მყოფი ყველა სპორტსმენი თუ მწვრთნელი ბრუმელს მისალოცად დაეხვია, ის თვითონ მივიდა რობერტთან და... დიდი მადლობა უთხრა: შენ შეჯობებას რომ არ გამოკლებოდი, ეს მსოფლიო რეკორდი არ იქნებოდაო.

ცხრა წლით უმცროსი ბავშვივით კუდში დასდევდა რობერტს და ეხვეწებოდა, შენისთანა კუნთები როგორ დავიყენოო.

რომის ოლიმპიადის
ჩემპიონისთვის მკაცრი
რეჟიმი მიუღებელი იყო.
თუ ზოგს ზედმეტ ჭიქა
წყალს ვერ დააღვინებდი,
ის ორგანიზმს სხვადას-
ხვაგვარი შეზღუდვით
ზედმეტად არ ტანჯავდა,
ზომიერების ფარგლებში
საკუთარ თავს სპორტსმე-
ნის პირობაზე თითქოს
ზედმეტ თავისუფლებასაც
კი აძლევდა.





ძმები — რობერტ
და ოთარ შავლაყაძეები

დაძაბულობის მოხსნის შავლაყაძისეული მეთოდი სრულიად ამართლებდა... 1959 წელი იყო. ფილადელფიაში გამართული გიგანტთა მატჩის შემდეგ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ პირველობა ჩატარდა, ცხადია, საბჭოთა კავშირში. რობერტს სასტუმროს ნომერში ვიღაც გოგო ჰყავდა დაპატიჟებული, როცა დიაჩკოვმა დაუკაკუნა, რობერტ მიხაილოვიჩ, პირველ საათზე, ესე იგი, 40 წუთში შეჯიბრება გენწყებათო. არადა, თვითონ ეგონა ხუთ საათზე იწყებო. გოგოც წაიყვანა სტადიონზე და თითქოს თავი უნდა მოაწონოსო, პირადი რეკორდი დაამყარა — 213 სანტიმეტრი. მერე 217 შეუკვეთა. მაგრამ რუსული ქაცვიანი ფეხსაცმელი მთელ სიგრძეზე გაეხა. იქვე სახელდახელოდ გაკერა. გადახტა და ისევ გაეხა. შემდეგ ცდაზე კი სპორტული ფეხსაცმლისგან აღარაფერი დარჩა. დასანანი იყო, საკავშირო რეკორდს უტევდა... სასმელსაც ასე იყენებდა ნერვების დასამშვიდებლად – მხოლოდ ორი-სამი ჭიქა.

როცა ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს სიმალღეზე ხტომაში, რამაც ვლადიმირ დიაჩკოვის დიდი გულისწყრომა და სპორტსმენთა, ქალთა და კაცთა გუნდების სიხარული გამოიწვია, რობერტი ნაკრებშიც მიმართავდა საკუთარ მეთოდს. რა ექნა: ვარჯიშზე მისი მოწაფეები რეკორდებს უტევდნენ, შეჯიბრებებზე კი საქმეს ჩააფლავებდნენ ხოლმე. მაგალითად, რობერტმა იცოდა, რომ გოგოებთან გართობა ვალერი ბრუმელსაც უყვარდა, ბოლშოვს – უფრო სასმელი. 1966 წელს კიევში გიგანტთა მატჩის წინ შავლაყაძემ ბრუმელს ჰკითხა, გოგო გყავსო? დასტური მიიღო. წადი და ერთხელ მიუალერსე, მეტი არ გაბედოო. სახელოვანი მხტომელი წავიდა და როცა დაბრუნდა, მოახსენა, მეტი მინდოდა, მაგრამ თქვენი ხათრით თავი შევიკავეო. მერე ბოლშოვს ხუთი მანეთი მისცა და ერთი სარდაფი მიასწავლა, ორი ჭიქა

ღვინო დალიე, მესამე თავიდან ამოიგდეო. ცოტა ხანში მისგანაც მიიღო პატაკი — მხოლოდ ორი ჭიქა დავლიეო. ამერიკელებს, როგორც ყოველთვის, მაშინაც ძლიერი მხტომელები ჰყავდათ, მაგრამ იმ მატჩში პირველი ბრუმელი იყო, მეორე — ბოლშოვი. საერთოდ, მისმა შეგირდებმა — ქალებმა და კაცებმაც — ოროჯერ დაიკავეს პირველი და მეორე ადგილები „გიგანტთა მატჩში“.

ისე არ გაიგოთ, რომ გადამწყვეტი „შავლაყაძის მეთოდი“ იყო. იგი, როგორც ჩანს, ეხმარებოდა სიმაღლეზე მხტომელებს საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ოლიმპიური ჩემპიონი უნებისყოფო და თავქარიანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც გამარჯვებაში ეხმარებოდა. მისი ქცევა შეჯიბრებების წინ გამომდინარეობდა სწორედ სიმაღლეზე ხტომის სპეციფიკიდან (ასევე ინდივიდუალური თვისებებიდან), თორემ სხვა მრავალს, მაგალითად, საშუალო და გრძელ მანძილზე მორბენლებს, ეს მეთოდი ძალიან ძვირი დაუჯდებადათ. ასეთი შემთხვევების მონმე თავადაც არაერთხელ ვყოფილვარ. თანაც, გრძელ მანძილზე მორბენლებს მღელვარება ასიოდე მეტრის გარბენის შემდეგ გაუვლით ხოლმე, სიმაღლეზე ხტომაში კი ყოველ ცდაზე ნერვებთან უწევთ თამაში და ეს ხშირად 10-12 საათი გრძელდება.

როზერტ შავლაყაძემ, როგორც ვთქვი, ორჯერ გამოიყვანა თავისი მხტომელები გიგანტთა მატჩში და ორჯერვე წარმატებით. ის პირადად წვრთნიდა კამკაროვს, ბოლშოვს, ტაისია ჩენჩიკს, რომელმაც ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მოსკოვში უპირებდნენ გადაყვანას. ოფიცერი იყო, ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა. თბილისში ბინის ჩაბარება მოსთხოვეს, რომ მოსკოვში მიეცათ. უარი უთხრა, თავის „ხრუშჩოვკას“ და თბილისს ვერ შეელია. მოსკოვში შეუთვალა, მანდ თუნდაც სასტუმროში ვიცხოვრებო. ეს რომ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ გაიგო, შემფოთდა: მე რომ ასე ვკარგავდე სპეციალისტებს, ასეთი კარგი შედეგები არ მექნებოდაო. მაგრამ საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტრო ოლიმპიური ჩემპიონის დათმობას არ აპირებდა. გიორგი სიხარულიძე თვითონ ჩავიდა მოსკოვში და შეძლო, ოფიცრობისგან გაეთავისუფლებინა იგი. შემდეგ დაურეკა საქართველოს განათლების მინისტრს თამარ ლაშქარაშვილს და უთხრა, რომ როზერტ შავლაყაძეს ბავშვთა სპორტს აბარებდა. ასე გახდა რომის ტრიუმფატორი ბავშვთა და მოზარ-

დთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორი. სკოლაში სპორტის 27 სახეობა იყო დანერგილი, მასაც დიდი სახელი ჰქონდა და მის დირექტორსაც. 14 წელიწადს იმუშავა ბავშვებთან. თავის ოფისში ერთი რემონტიც არ ჩაუტარებია. მკაცრი უფროსი გახლდათ, ზოგისთვის იქნებ მეტისმეტად მკაცრიც...

თუმცა, მანამდე იყო ტოკიო.

იაპონიის დედაქალაქში რობერტ შავლაყაძე, ბრუმელის რეკორდების მიუხედავად, იმავე რანგით ჩავიდა, რომელიც თომასს იტალიის დედაქალაქში მიაკუთვნეს. მოკლედ, ფავორიტი იყო. ამასთან, თუ რომში ფსიქოლოგიურად კარგად იყო მომზადებული, ტოკიოში – უფრო უკეთესად. ამასთან, ქართველი სპორტსმენი გინესების რეკორდს უტყევდა: როგორც ვთქვი, მსოფლიო სპორტის ისტორიაში სიმალღეზე ხტომაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი არავინ გამხდარა (რაც ხაზგასმით გამოარჩევს ამ დისციპლინას). რომის ოლიმპიადის ჩემპიონს ყველა პირობა ჰქონდა საამისოდ, მით უმეტეს, რომ ვარჯიშზე მსუბუქად გადაევილო 220 სანტიმეტრს, რობერტი კი შეჯიბრებაზე ვარჯიშის დროს ნაჩვენებ შედეგებს რამდენიმე სანტიმეტრით აუმჯობესებდა ხოლმე. 220 სანტიმეტრის ამბავი უმაღლესად გავრცელდა ჟურნალისტებს შორის, მაგრამ ფავორიტმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა: გადამწყვეტი მოთელვის შემდეგ გრილ აუზში შეცურა და როცა უკან გამოვიდა, მოგვიანებით გამოჩნდა, რომ საშინელი რადიკულიტი გამოიტანა. არადა, წყალში ვერაფერი იგრძნო. შავლაყაძეს ის ქარაფშუტობა დღესაც ვერ უპატიებია საკუთარი თავისთვის. ვლადიმირ დიაჩკოვი გადაირია, იგი რობერტის გამოცდილებას ენდო და არც მოთელვას დასწრებია, მით უფრო — ბანაობას.

მეორე დღეს, როცა შეჯიბრება იყო დანიშნული, რობერტ შავლაყაძეს ისე სტიკოდა ყველაფერი, რომ სპორტული სამოსი ვალერი ბრუმელმა ჩააცვა. სახტომ სექტორში, როცა იცოდა, რომ მისი მატარებელი უკვე ჩავლილი იყო, რობერტმა მთელი ყურადღება თანაგუნდელისა და მეგობრის, ბრუმელის დასახმარებლად მიმართა. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველი სპორტსმენი ძალიან გააღიზიანეს — მსაჯები ცდილობდნენ, რომში მისგან დაჩაგრულ თომასს ტოკიოში გაემარჯვა და ხტომისას რობერტსაც უშლიდნენ ხელს. ყოველი ნახტომის წინ ოთხად მოკაკული შავლაყაძე ბალახზე განვებოდა და ბრუმელს სთხოვდა, ფეხებით ზურგზე შემადექი, იქნებ ცოტა გავსწორდეო. შედგამდა მომავალი ჩემპიონი ერთ ფეხს რობერტის გალუნულ წელზე და მსაჯებიც იქვე განდებოდნენ:



ტოკიოს ოლიმპიადაზე
რობერტ შავლაყაძემ
214 სანტიმეტრი გადალახა
და მეოთხე-მეხუთე
ადგილები გაიყო შვედ
სტიმ პეტერსონთან

შენწყვიტეთ, ეს წესით აკრძალულიაო. მაგრამ შეჯიბრების წესებში ასეთი რამ არ ეწერა. რობერტი და მისი გუნდი შვედმა მეტოქემაც გაანერვიულა, როცა მსაჯებს მათი ქაცვებიანი ფეხსაცმლის შემონმება მოსთხოვა, მეტისმეტად სქელი ლანჩა აქვთო. მეტი რა ჩარა იყო — წაიძრეს და გაასინჯეს. რობერტი ისედაც თხელ ლანჩას იყო მიჩვეული, სხვაგვარად ფეხს ვერ გრძნობდა.

რომის ოლიმპიადაზე, ფაქტობრივად, ყველაფერი ცნობილია. ტოკიოს ოლიმპიადა კი სჯობია დავინახოთ „ნეიტრალური“ ადამიანის, ვალერი ბრუმელის თვალით, ანუ მისი წიგნის — „სიმაღლის“ მიხედვით.

საწყისი ციტატა ანუ ნაწილი ამ წიგნის ერთი თავიდან, რომელშიც მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენი მადლიერებით გვიამბობს იმ ხალხზე, ვინც მას ჩემპიონობაში დაეხმარა, ალბათ, მთლიანად მოსატანია:

„...მინდა გითხრათ კიდევ ერთ შესანიშნავ სპორტსმენზე, რომის ოლიმპიადის ჩემპიონზე... გარეგნულად ფლეგმატური, მუდამ ზანტი მოძრაობით, შეჯიბრებებზე სრულიად იცვლებოდა. ხდებოდა ზამბარისებრი, მზაკვარი და შეუპოვარი, როგორც კაჟი. ეს იყო დიდი მეზრძოლი, დიდი იმიტომ, რომ ყოველთვის მზად იყო თავისი მეტოქისთვისაც კი დახმარების ხელი გაეწოდებინა... მე ამას ვსწავლობდი მისგან...“

საკვალიფიკაციო სიმაღლე 206 სანტიმეტრი იყო და ბრუმელმა, რომელმაც ერთი წლით ადრე მოსკოვში, ამერიკელებთან მატჩში 228 სმ გადალახა, ორჯერ



*რობერტ შველაყაძე
და ქართული სპორტის
დიდი მოამბაგე გიორგი
მერკვილაძე*

ჩააფლავა ნახტომი... 203 სმ-ზე. რობერტი მყისვე მიეჭრა — შენ რა, გაგიჟდი?! ეს ხომ მხოლოდ 203 სანტიმეტრია?! ამ სიმაღლის ალება გამორბენის გარეშე, ადგილიდანაც შეგიძლია, გამხნევედი. შენ ნახტომიც არ დაგჭირდება, ისე გადაფრინდები, თუ წარმოიდგენ, რომ ეს მხოლოდ 203-ია, — ქართველი კოლეგის მაშინდელ შეგონებაზე წერდა თავის წიგნში მსოფლიო რეკორდსმენი. და ბრუმელმაც, სწორედ ისე, როგორც მეგობარმა უკარნახა, ძლიერი ნახტომი კი არა, ნამდვილად მისი იოლი იმიტაცია წარმოადგინა და მსუბუქად გადაეცლო მისთვის მეტისმეტად დაბალ „ღობეს“. მაგრამ რეკორდსმენის შემდგომი ცდებიც ისეთი ფათერაკიანი გამოდგა, ჭკუათმყოფელი კაცი ვერ წარმოიდგენდა. საკვალიფიკაციო 206 სანტიმეტრიც მოსკოველმა ათლეტმა მხოლოდ მესამე ცდით დაძლია, ცხადია, შველაყაძის მორიგი მკაცრი „დირექტივის“ შემდეგ. ასე, ლამის ხელით ათრია რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა ტოკიოს მომავალი ჩემპიონი 203 სანტიმეტრიდან 216 სანტიმეტრამდე. ხუთჯერ იდგა ბრუმელი სირცხვილის უფსკრულის პირას და რობერტ შველაყაძემ ხუთჯერვე გადაარჩინა.

„რობერტი, როგორც ჩრდილი, ისე დამყვებოდა ყველგან. მან იცოდა, რომ ჩვენი სამეულიდან მხოლოდ მე შემეძლო გამარჯვება და საამისოდ ყველაფერს აკეთებდა... იმ დროს მისი მეტოქე კი არა, ჩვენი, საბჭოთა მსტომელების იმედი ვიყავი. უღრმესი მადლობა რობერტს“, — ესეც აქვს ნათქვამი მადლიერ ბრუმელს „სიმაღლეში“.

თვითონ შავლაყაძემ კი, რომლისთვისაც ყველა ნახტომი ტანჯვა იყო, კვლავ გამოჰგლიჯა საკუთარ თავს ყველაფერი, რასაც მისი მაშინდელი მდგომარეობა იძლეოდა — 214 სანტიმეტრი გადალახა და მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო შვედ სტიმ პეტერსონთან. ეს სიმაღლე, ისე როგორც წინა დანარჩენები, წელმტკივანმა რობერტმა და მისმა შვედმა მეტოქემ პირველივე ცდებით აიღეს. შემდეგ კი მეტი ვეღარ შეძლეს.

ვალერი ბრუმელი დიდად გახალისდა 214-ის შემდეგ. 216 და 218 სანტიმეტრი პირველივე ცდებით აიღო, მაგრამ მაინც ეჭვი ეპარებოდა თავის გამარჯვებაში, მით უმეტეს, თომასიც პირველი ცდით გადაეწვლო 218-ს.

ბრუმელის თქმით, მხოლოდ რობერტი იყო დარწმუნებული მის გამარჯვებაში: „რობერტს ჰქონდა უდიდესი სატურნირო გამოცდილება, კარგად იცნობდა ჩემს მეტოქეებს, რომლებიც 216 სმ-ის შემდეგ სექტორს შემორჩნენ. იცოდა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, კარგად ითვისებდა შეჯიბრების ხანგრძლივობას და ხასიათს, — ყველაფერი ეს რობერტს საშუალებას აძლევდა, გამოეცნო ნამდვილი გამარჯვებული. ეს მე ვიყავი.“

220 სანტიმეტრი დაუძლეველი აღმოჩნდა როგორც ბრუმელის, ისე თომასისთვის და რადგან ამერიკელს 216 სმ მხოლოდ მეორე ცდით ჰქონდა აღებული, მოსკოველი სპორტსმენი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მოკლედ, ფოსბიურამდე ნამგალუროიანებმა ამერიკელები გვარიანად გაამწარეს. დაჯილდოებისას სიმაღლეზე მხტომელის პირობაზე ტანდაბალი ბრუმელი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი ავიდა, მაგრამ უფრო დაბლა მდგარ ამერიკელებს, თომასს და რამბოს (მესამე ადგილი) თავს უსწორებდა — ერთის სიმაღლე 198 სანტიმეტრი იყო, მეორის — 201 სანტიმეტრი. „რამდენი მაგინა რობერტმა მკვდარი და ცოცხალი“, — ამბობდა კმაყოფილი ბრუმელი შეჯიბრების შემდეგ...

სამწუხაროდ, იმ წლებში, როცა რობერტ შავლაყაძე სახტომ სექტორში ასპარეზობდა, მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატები არ ტარდებოდა. ეს შეჯიბრება მხოლოდ 1983 წლიდან შემოიღეს და ახლა ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ადრე რომ დაენესებინათ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რომის ოლიმპიადის ჩემპიონი რამდენიმე ასეთ ტიტულსაც მოიპოვებდა. შავლაყაძეს ხომ პრაქტიკულად არც ერთი საერთაშორისო შეჯიბრება არ წაუგია. ერთ გამონაკლისზე — ტოკიოს ოლიპიადაზე უკვე ვთქვით. ერთხელ კიდევ ოსლოში, ევროპის ჩემპიონატზე დამარცხდა და მესამე ადგილი დაიკავა. ამ შეჯიბრე-

ბამდე ბევრი ეხვეწა საკავშირო ნაკრების მწვრთნელებს, მზად არ ვარ, იქნებ დამასვენოთო, მაგრამ არ მოეშენენ. „ის ბრინჯაოს მედალი მხოლოდ იმას მახსენებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვიყავი, თანაც ცუდად მომზადებული, — მითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, — ოსლოში იმ შვედმა მოიგო, ვისთანაც ტოკიოს ოლიმპიადაზე მეოთხე-მეხუთე ადგილები გავიყავი...“

ვინც საქმეში არ არის ჩახედული, იმათ გასაგონად ვამბობ: ოლიმპიური თამაშების მძლეოსანთა შეჯიბრებაზე მეოთხე-მეხუთე ადგილიც დიდი მიღწევაა. ტოკიოს შემდეგ ამდენი დრო გავიდა და, უდიდესი ვიქტორ სანეევის გარდა, ოლიმპიადეზე მძლეოსანთა ინდივიდუალური ასპარეზობის ფინალში, ანუ 8 ან 12 საუკეთესოს შორის (დისციპლინების მიხედვით) საქართველოს მხოლოდ ორი წარმომადგენელი მოხვდა — სპრინტერი მაია აზარაშვილი (სეული, 200 მ, მეშვიდე ადგილი) და მოსკოვის თამაშების ვერცხლის პრიზიორი, შუბის მტყორცნელი საიდა გუნბა. მაიამ სამხრეთ კორეის დედაქალაქში ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა 4X100 მეტრზე ამანატრბენში.

რობერტ შავლაყაძეს კი, ოლიმპიური ჩემპიონობის გარდა, მაშინ არსებული სხვა ტიტულებიც საკმარისად ჰქონდა: შვიდჯერ იყო სოციალისტური ქვეყნების ჩემპიონი, ხუთჯერ — ძმები ზნამენსკების მემორიალის გამარჯვებული და ა. შ.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ რობერტ შავლაყაძეს, თურმე, შესანიშნავი პერპექტივა ეხსნებოდა სპორტსაზოგადოება „დინამოში“. საკავშირო ორგანიზაციას ვგულისხმობ... ერთხელ მოსკოვში იგი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს გადაეყარა სტადიონის ტერიტორიაზე და პირდაპირ ქორივით დააცხრა ქართველ სპეციალისტს: რობერტ მიხაილოვიჩ, თქვენ მე სასტიკად დამალალატეთ, რადგან პენსიაში გავდივარ და ჩემ ადგილს თქვენთვის ვამზადებდიო. თურმე სიხარულიძე რობერტის თავისუფლების გამოსაცინცლად თუ გამოსაგლეჯად სწორედ მასთან მისულა. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეობა გენერლის თანამდებობა იყო და უმაღლესი ყველაზე გავლენიან საბჭოთა სპორტულ ფუნქციონერს შორის ამოყოფდი თავს. რობერტმა კი სხვაგვარად გადაწყვიტა...

თვით დღესაც კი, თანაც რუსეთში, სათანადოდ აფასებენ რობერტ შავლაყაძის იმ უმაგალოთო გამარჯვებას ამერიკელებზე და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს მსტომელებზე. გათავაზობთ 2000 ნელს მათ საიტზე „ადამიანების ისტორია“ გამოქვეყნებულ პატარა წერილს, რომელიც ძველებური მანერითა





მეოცე საუკუნის სპორტის
 საუკუნესაც უწოდებენ.
 მაგრამ დღეს მანაც ძნელი
 წარმოსადგენია, რას
 ნიშნავდა სპორტი ომის
 შემდგომი თაობისთვის,
 მით უმეტეს, რომ
 სტალინმა — როცა დაარ-
 წმუნეს, საბჭოთა
 სპორტსმენებს ამერიკე-
 ლების დამარცხება
 შეუძლიათო — გზა
 გაუხსნა მათ საოცნებო
 ოლიმპიური სარბიელისკენ



როცა რობერტ შველცაძეს
ეკითხებიან, მაინც
როგორ, რის ხარჯზე
მიაღწიე წარმატებასო,
ოლიმპიური ჩემპიონი ასე
პასუხობს: „გავიმარჯვე
აღბათ იმიტომ, რომ
სხვებზე მეტად მინდოდა
გამარჯვება“.

იმ დროს, როცა, მაგალითად, ფრანგები ქალების თანხლებით დადიოდნენ შეჯიბრებებზე, საბჭოთა სპორტსმენებს მეცნიერ-მუშაკები და გუნდის ხელმძღვანელები წინასაშეჯიბრებო და საშეჯიბრებო პერიოდში სასტიკ, სპარტანულ რეჟიმს უწესებდნენ. ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა დელეგაციის სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა რობერტს გაოცებით უთხრეს კიდევ, ასეთი მშვიდი სახტომ სექტორში არასოდეს გვინახიხარო. რა იცოდნენ, რომ შავლაცაძემ სწორედ მათი რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და ალბათ ამიტომ იყო ოლიმპიურ სარბიელზე ასე მშვიდად.





რობერტ შავლაყაძე და მისი
მეუღლე თამარ კვიციანი



ვალერი ბრუმელის
„საკალათურით“
ნახტომი. რომის
ოლიმპიადის შემდეგ
ბრუმელმა შავლაყაძის
გამოსვლა ასე შეაფასა:
„რობერტ შავლაყაძემ
პირველი ცდით აიღო 216
სანტიმეტრი მე ეს სას-
ნაულად ჩავთვალე. თუ
როგორ შეძლო რობერტმა,
ამას მოგვიანებით მივხვდი:
გამოცდილებით! უზარმა-
ზარმა გამოცდილებამ და
გონიერმა თავმა რობერტ
შავლაყაძეს საშუალება
მისცა სწორად გაენანი-
ლებინა საკუთარი ძალები
და ზუსტად შეჯიბრების
დასკვნით ნაწილში
სრულად გამოევიდნენ
თავისი შესაძლებლობები.
ამ უნარს ის ყოველთვის
და სრულყოფილად
ამჟღავნებდა.“

და მათი საბჭოური „ნოსტალიგია“ დაწერილი, მაგრამ სრულად წარმოაჩენს რობერტის რომაული ტრიუმფის მნიშვნელობას.

„ჩვენს სიმაღლეზე მხტომელთა შორის, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ლენინის ორდენის კავალერ რობერტ შავლაყაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა მხტომელებიდან პირველმა სძლია ამ სახეობაში მრავალი წლის მანძილზე მოდის კანონმდებელ აშშ-ს სპორტსმენებს. ეს მოხდა 1959 წელს, ფილადელფიაში. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ შავლაყაძე ჩვენებიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სიმაღლეზე ხტომაში, ოქროს მედალი მოიპოვა რომის ოლიმპიადაზე. რობერტს ალბათ ვერ მივაკუთვნებთ ისეთ იშვიათ ტალანტებს, როგორებიც, მაგალითად, იყვნენ ბრუმელი ან იაშჩენკო. ამასთან, მან სიმაღლეზე ხტომაში ვარჯიში დაიწყო მაშინ, როცა მეთექვსმეტე წელს ითვლიდა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, შავლაყაძეს სულ სხვა ტალანტი აღმოაჩნდა — მას მებრძოლის ხასიათი ჰქონდა. გარეგნულად რბილი, ინტელიგენტური და ცოტა ფლეგმატური რობერტი უცებ გარდაიქმნებოდა, როცა იწყებოდა დიდი „შეტაკება“. თავმოყვარე და ამაყი შავლაყაძე მამაცურად ერთვებოდა მეტოქეებთან ბრძოლაში, რომლებიც ობიექტურად მასზე ძლიერები იყვნენ, და თუ მას წარმატებისთვის მინიმალური შანსი მაინც რჩებოდა, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ იგი გამოეყენებინა.

გამონათქვამი, „საკუთარ თავს გადაახტაო“, სიმაღლეზე ხტომაში ორმაგი მნიშვნელობისაა. ასე რომ, რომის სტადიონზე „ფორო იტალიკო“, სადაც მიმდინარეობდა მძლეოსანთა ასპარეზობა 1960 წელს, შავლაყაძე არა მარტო საკუთარ თავს გადაახტა, არამედ მეტოქეების თავებსაც, გაცილებით „მაღლებს“ თავიანთი მიღწევებით. შავლაყაძის პირადი რეკორდი მთელი 9 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა ამერიკელ ჯონ თომასის მსოფლიო რეკორდს, რომელიც მან 1960 წლის ოლიმპიადამდე თვენახევრით ადრე დაამყარა. თუმცა, რობერტზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ მსოფლიოს ექსრეკორდსმენს, 1956 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ჩარლზ დიუმასს (აშშ) და სსრ კავშირის ჩემპიონ ვიქტორ ბოლოშოვსაც. ასევე, ჭაბუკ ვალერი ბრუმელს, რომელმაც იმხანად ევროპის რეკორდი დაამყარა, აგრეთვე მსოფლიოს მთელ რიგ წამყვან მხტომელებს. მაგრამ რობერტ შავლაყაძის შეტევის შემდეგ ყველამ დაიხია ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან. იმ დღეს იგი „უნაგირიდან ვერ ჩამოაგდო“ ვერც მრისხანე მეტოქეებმა, ვერც ვნებათაღელვით მობობოქრე ოლიმპიური სტადიონის ატ-

მოსფერომ. რობერტი ყველაფერს შესანიშნავად აკეთებდა. ხტომა 2 მეტრის სიმაღლიდან დაიწყო, რაც ადრე არასდროს უცდია. ყველა სიმაღლეს პირველი ცდით იღებდა. პირადი რეკორდიც გააუმჯობესა და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა. როცა მრავალი წლის შემდეგ მას ჰკითხეს, რის წყალობით მიაღწია წარმატებას, რობერტმა ასე უპასუხა: „გავიმარჯვე ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა გამარჯვება.“

როცა თბილისში ნიკიტა ხრუშჩოვი ჩამოვიდა, ლესელიძეში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი რობერტი სასწრაფოდ ჩამოიყვანეს იქიდან და პირდაპირ მრისხანე სტუმარს წარუდგინეს. მოგეხსენებათ, ხრუშჩოვს ქართველები არ უყვარდა, მაგრამ შავლაყაძეს საკვირველად გულლიად შეხვდა, ისე ძლიერად უტყაპუნებდა მხარზე ხელს, როგორც ძველ მეგობარს და ამბობდა: აი, ასეთი ყოფილაო. სწორედ შემდეგ გამართულ სუფრაზე, რობერტ შავლაყაძის თვალწინ, მოხდა მოგვიანებით თბილისში ჭორად გაფანტული კურიოზი: ვასილ მუჟანაძის მძღოლმა მწვადები შემოიტანა და პირდაპირ ხრუშჩოვს მიმართა: კუ-შაიტე სუკი-ო. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს რუსულად მიმართვა „სუკი“ და ვასილ პავლოვიჩი ბანკეტიდან სხვა მძღოლმა წაიყვანა – ის უბედური მწვადის მიმტანი სადღაც გააქრეს.

საქართველოში, ტოკიოს შემდეგ, რობერტ შავლაყაძის უდიდეს მიღწევას თანდათან, როგორღაც შეუმჩნევლად, დავიწყების ფერფლი გადააყარეს, იმის მიუხედავად, რომ შავლაყაძეს გამორჩეული პატივით ეპყრობოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა... ვერავინ დაამტკიცებს, რომ მძღოლსნობა პოპულარულია საქართველოში, მაგრამ საპორტის დედოფლის დისციპლინებიდან ყველაზე დიდი მონონები მაინც ხტომა სარგებლობს. შვიდ ნაბადასაც რომ თავი დავანებოთ, ამაზე სხვა მაგალითებიც მეტყველებს. იაშჩენკოს ამბავი უკვე გითხარით. მაშინ აქ გაიმართა პოპულარული საკავშირო ტრადიციული შეჯიბრება კომუნისტთა მთავარი გაზეთის, „პრავდის“ პრიზზე. ხალხი, ძირითადად, ძალით მოიყვანეს უმაღლესი სასწავლებლებიდან და ცალკეული ორგანიზაციებიდან, რათა ასპარეზობას ცარიელი ტრიბუნების წინ არ ჩაეველო. მაგრამ, უკვე ვთქვით, მათგან 35 ათასმა ლამის 12 საათამდე ფეხი არ მოიცვალა, სანამ უკრაინელი სიმაღლეზე მსტომელის მსოფლიო რეკორდი არ იხილა — 234 სმ.

ალბათ, ბერეს ახსოვს ის აღტაცება, რომელიც გამოიწვია ვლადიმირ პოლიაკოვმა, რომელმაც თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე, საბჭოთა კავშირისა



შავლაყაძის ჩასვლამდე
კონგოელი მძლეოსნები
ცენტრალური აფრიკის
ჩემპიონატში მე-17
ადგილზე იყვნენ, მერე
კი პირველობა მოიპოვეს.
1979 წელს მოსკოვში,
საკავშირო სპარტაკია-
დაზე ჩამოიყვანა გუნდი.
ყველა წამყვანი მონაწილე
ფინალში მოხვდა. კუნკუს
გარდა, გუნდში იყვნენ
სპრინტერები, რომლებიც
100 მეტრს 10,1 თუ 10,2
წამში გარბოდნენ.

და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩის დროს ჭო-
კით 581 სმ გადალახა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გავიხსენოთ, რამდე-
ნი ხალხი გროვდებოდა ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებების დროს სიგრძეზე
ხტომისა და სამხტომის სექტორების გასწვრივ... ხტომა სჭირდება ყველას —
ფეხბურთელს, ფრენბურთელს, კალათბურთელს... თვით მოცურავესაც კი და
ბევრ სხვას. ჟურნალისტი არჩილ გოგელია თავის წიგნში „ასეთია სპორტული
ცხოვრება“ წერდა, რომ შავლაყაძის 50 წლის იუბილე არ დავიწყებია მაშინ პო-
პულარულ საკავშირო ჟურნალ „ლიოგაკაია ატლეტიკას“ და მოზრდილი სტატი-
ით აღნიშნა იგი. „საქართველოში კი... 50 წლის იუბილე მთელ საზოგადოებაში
კი არა, სპორტულ წრეებშიც შეუმჩნეველი დარჩა. და თვით მეგობრულ წრეებ-
შიც არ გაგვხსენებია...“ (თუმცა, იმ ავბედით 1993 წელს საქართველოს დამო-
უკიდებელმა მძლეოსნობის ფედერაციამ, მისმა ხელმძღვანელებმა მოახერხეს
დაბადების 60 წელთან დაკავშირებით რობერტ შავლაყაძის იუბილეს მონაწილეობა,
მაშინდელი შესაძლებლობების ფარგლებში, რასაკვირველია).

70-იანი წლების დასაწყისში ჩვენი სპორტის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ქართველი მძლეოსნის რომაული ტრიუმფის დავიწყება არ არის ღირსეული საქმე და თბილისში დაგეგმეს ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძის პრიზზე. ეს იყო პირველი შეჯიბრება საქართველოში, რომელიც გამოჩენილი ადამიანის სახელს ატარებდა. სიმაღლეზე მხტომელთა ტურნირები, ნამდვილი შოუსპექტაკლები, თბილისის სპორტის სასახლეში თითქმის სავსე ტრიბუნების წინ მიმდინარეობდა. ყველაზე საპატიო სტუმარი ვალერი ბრუმელი იყო, ხოლო სექტორში ლენინგრადელი იური ტარმაკი მოთელვის დროს მაყურებელს მხტომელის ფოკუსებით ართობდა: ადგილიდან, აი, ისე, ბავშვები რომ ხტებიან, 2-2,05 მეტრს იღებდა. ძირითადი ასპარეზობის დროს გაცილებით დიდ სიმაღლეს უტევდა და იმარჯვებდა. ტარმაკმა თბილისის ტურნირი 1972 წელს მოიგო და იმავე წელს მიუნხენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ზოგს, ალბათ, ისევ ახსოვს სხვა გამარჯვებულებიც, მაგალითად, ლიტველი კესტუტის შაპკა, ასევე დიდი ჩემპიონი; შეუპოვარი რუსტამ ახმეტოვი, რომელმაც, სიმაღლეზე ხტომის სიყვარულით, მოკლე ტანი რაღაც სასწაულით, განუწყვეტელი ვარჯიშითა და სხეულის გაჭიმვით, 18 სანტიმეტრით დაიგრძელა. ის, რომ ასეთი ცნობილი მხტომელები ხალისით ჩამოდიოდნენ თბილისში, რობერტ შავლაყაძის ჯერ კიდევ გაუხუნარი პოპულარობის დადასტურებაც იყო.

მაგრამ რომის საოცარი გამარჯვების მოსაგონებლად, არც ამ ტურნირს ეწერა დიდი დღე: რობერტ შავლაყაძემ უცხოეთში გააგრძელა საქმიანობა და უმისოდ ტურნირი ვეღარ ჩატარდებოდა...

საერთოდ კი, ის ამ ოლიმპიურ „ანემიას“ ბოლო დრომდე დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ იყო განსხვავებული შემთხვევები. მაგალითად, როცა გაიგო, რომ სპორტის დეპარტამენტის ერთ-ერთმა ადრინდელმა ხელმძღვანელმა უსამართლობა გამოავლინა მის მიმართ, ისევ უყვილა ძველმა, უსამართლობას შეურიგებელმა სისხლმა. მივიდა დეპარტამენტში და იკითხა, რატომ დასდეს ესოდენ დიდი პატივი. მოუბოდიშეს და ყველაფრის გამოსწორებას შეჰირდნენ. სულ ტყუილად. მეორედაც მოუხდა მისვლა და თავისი ღირსების ორდენი მიუტანა თავმჯდომარეს: ჩემი ღირსება თქვენ არ მოგიციათ, თქვენი კი ჩაიბარეთო. მერეღა გადაწყვიტეს სამართლიანობის აღდგენა...

1977 წელს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი ექვსი თვით კონგოს დედაქალაქ ბრაზავილში კონტრაქტით სამუშაოდ გაემგზავრა და... სამ წელიწადს დატოვეს. მანამდე საგანგებოდ უნდა ითქვას ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ მძლეოსნურ სკოლაზე, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი რესპუბლიკის ნორჩ მძლეოსანთა აღზრდა-დაოსტატებას წარმართავდა. რობერტ შავლაყაძემ იშვიათ შედეგებს მიაღწია: კიევში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ისტორიაში პირველად საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. თუმცა იქ ყველა ასპარეზობდა: რსფსრ, ცალკე მოსკოვი, ლენინგრადი, უკრაინა, ბელორუსია და ა.შ. თბილისში არსებული რესპუბლიკური სკოლის მუშაობის გასაცნობად დელეგაციები ჩამოდიოდნენ არა მარტო მოსკოვიდან, არამედ ავსტრიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან...

რობერტ შავლაყაძემ 15-წლიანი დაკვირვების შემდეგ შეიმუშავა ნორჩ მძლეოსანთა აღზრდის ახალი, რეგიონალური მეთოდი და ბრძანებულების პროექტის სახით წარუდგინა მაშინდელ განათლების მინისტრს თამარ ლაშქარაშვილს. სულ მალე ეს დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული წამოიღო. მერე კი ყველგან დაგზავნა წერილები და რეგიონალურ სკოლებს ამ მეთოდის ნიუნსები გააცნო. რობერტ შავლაყაძე თვლის, რომ იმ კიევურ წარმატებაში ახალმა მეთოდმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი.

რობერტამდე კონგოელ მძლეოსნებთან ორი ფრანგი სპეციალისტი მუშაობდა. ნამდვილი ფრანგები იყვნენ — კარგი ცხოვრება უყვარდათ. მოკალათდებოდნენ წამმზომებით მალლა, სტადიონის ყველაზე გრილ ადგილას და იქიდან ყვირილით აძლევდნენ მითითებებს გამთანგავ მზეში მოვარჯიშე კონგოელებს. აფრიკელებმა ყოფილ კოლონიზატორთა ნაშეირებს მხოლოდ ორი კვირა უთმინეს და მერე ჩრდილოეთის გზას გაუყენეს, რობერტ შავლაყაძეს კი ექვსჯერ გაუზარდეს კონგოში მუშაობის ხანგრძლივობა. ამისთვის მათ საბჭოთა საელჩოს მიმართეს თხოვნით. ბრაზავილში ჩავიდა საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ქართველ სპეციალისტს პირდაპირ მოსთხოვა, აქ კიდევ სამ წელიწადს უნდა დარჩეო. რობერტ შავლაყაძემ იუარა, ზუსტად სამი წელიწადია შვებულებაში არ ვყოფილვარო, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო და მას სამწლიანი ბრაზავილი მიესაჯა.

ამ საქმეში საბჭოთა კავშირის ელჩიც მონაწილეობდა, სასტიკი კაცი. მიხილი შიშით იქ მყოფ ყველა საბჭოელს აცახცახებდა. რობერტი კი კროსში ყველა

ვარჯიშის თუ შეჯიბრების სტარტსა და ფინიშს განგებ ზედ საელჩოსთან აწყობდა. ელჩსაც რა ექნა, სულ რობერტი მოჰყავდა სამაგალითოდ. ისე გაუშინა-ურდა, შავლაცადემ მწვადზეც დაპატიჟა.

კონგოელ სპორტსმენებში ქართველმა მწვრთნელმა ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ეთქვა, მინა ჭამეთო, დაუჯერებდნენ. ამ ქვეყნის მძლეოსნობის კონფედერაცია მის გარეშე ერთ საკითხსაც არ გადაწყვეტდა. მძლეოსნობის ყველა დისციპლინაში ეს ერთი ადამიანი ავარჯიშებდა აფრიკელებს, თანაც პრაქტიკულად, თვითონვე უჩვენებდა, როგორ უნდა შეესრულებინათ ესა თუ ის ვარჯიში: იხსენებდა ბადროს მტყორცნელების ლამარა ტულუმის, გივი ჩადუნელის, სხვა ქართველი მძლეოსნების რჩევებს. რობერტი ერთხანს ათქიღშიც გამოდიოდა და მძლეოსნობის ათ სახეობას ეუფლებოდა. ეს ცოდნა მას არა მარტო სპორტული, არამედ მწვრთნელის კარიერის ბოლომდეც გამოადგა.

აფრიკელებს კი უკვირდათ, სად ისწავლა ამ კაცმა ყველაფერიო. ქართველი სპეციალისტი მათთან ერთად დარბოდა, ხტებოდა, ისროდა... ერთი სპრინტერი ჰყავდა, თეოფილ კუნკუ, საოცრად ნიჭიერი და მშრომელი ახალგაზრდა, რომელმაც მის ხელში 100 მეტრი 10 წამში გაირბინა. პარიზში უკეთესი შედეგიც აჩვენა, მაგრამ გამოუცდელმა ანკეტაში ჩაწერა — საბჭოთა მწვრთნელი მავარჯიშებსო და იგი შეჯიბრების წესების დარღვევაში დაადანაშაულეს — შედეგი არ ჩაუთვალეს.

თუ კონგოელებს რობერტის გამოცდილება აოცებდათ, შავლაცადეს მათი საოცარი ნიჭიერება უკვირდა. „არადაამიანური კოორდინაცია და მოქნილობა ჰქონდათ. სკამზე მჯდომსაც კი ნებისმიერს შეეძლო ტერფი ბოლომდე გაეშალა“, — თავისი ყოფილი მოწაფეების შესახებ მიაბობს ოლიმპიური ჩემპიონი. კონგოელები ცუდად ცხოვრობდნენ. შავლაცადეს სპორტსმენები ხშირად შინ მიჰყავდა, ასადილებდა და ორი საათის შემდეგ სტადიონზე ერთად მიდიოდნენ.

შავლაცადის ჩასვლამდე კონგოელი მძლეოსნები ცენტრალური აფრიკის ჩემპიონატში მე-17 ადგილზე იყვნენ, მერე კი პირველობა მოიპოვეს. 1979 წელს მოსკოვში, საკავშირო სპარტაკიდაზე ჩამოიყვანა გუნდი. ყველა წამყვანი მონაწილე ფინალში მოხვდა. კუნკუს გარდა, გუნდში იყვნენ სპრინტერები, რომლებიც 100 მეტრს 10,1 თუ 10,2 წამში გარბოდნენ. სპორტის რუსმა ჩინოვნიკებმა გაიოცეს, საიდან ასეთი შედეგებო. რობერტ შავლაცადემ პირდაპირ უპა-



საქართველოს
ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტის საპატიო
პრეზიდენტი, მსოფლიოს
ხუთგზის ჩემპიონი
ნონა გაფრინდაშვილი
ოლიმპიურ ჩემპიონს
ოლიმპიურ ორდენს
გადასცემს



ოთხი ოლიმპიური
ჩემპიონი:
ლერი ხაბელოვი,
რობერტ შავლაყაძე,
მზია ჯუღელი და
რაფაელ ჩიმიშკიანი



რობერტ შავლაყაძე
ოჯახთან ერთად

სუხა, თქვენ მაინც არ დამიჯერებთ, მაგრამ იქ, კონგოში, ხელს მიწყობენ, რომ ვიმუშაო, აქ კი ხელს მიშლიდნენო.

გაბონში გამართულ ცენტრალური აფრიკის ჩემპიონატში 34 კონგოელი მონაწილეობდა და მათმა უმრავლესობამ მედალი მოიპოვა. აბიჯანში (მაშინდელი სპილოს ძვლის ნაპირი) კონგოს მძლეოსნები არასრული შემადგენლობით გამოდიოდნენ, მაგრამ მედლების რაოდენობით მაინც პირველობდნენ.

1980 წელს ცხრა კონგოელმა მძლეოსანმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი, მაგრამ მოსკოვის თამაშებზე გუნდს დიდი მარცხი ელოდა: დასიცხული აფრიკელები ნაყინს ხელალებით დააცხრნენ და სუყველა კოლექტიურად ანგინით დაავადდა. რაიმე შედეგებზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. მაგრამ, მთლიანად მათ მიერ ნაჩვენები შედეგებით მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე რობერტი უკმაყოფილო არ დარჩენილა.

რობერტ შავლაყაძე კონგოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც იყო ფიზიკურ მომზადებაში. გუნდი საერთო ძალისხმევით დაწინაურდა: თანამემამულე მძლეოსნების მსგავსად, მე-17 ადგილზე მყოფმა მესამე ადგილი დაიკავა ცენტრალური აფრიკის ჩემპიონატში. „მეკარე ჰყავდათ, ჩემზე კარგი რეაქცია ჰქონდა. ერთხელ ვურჩიე: შენი რეაქციის პატრონს არ სჭირდება პენალტის დროს წინასწარ რეაგირება, მხოლოდ ბურთს უყურე-მეთქი. 16 მეტრში სამი პენალტი აიღო და საუკეთესო მეკარედაც აღიარეს“, — იხსენებს ქართველი სპეციალისტი. იქაურებიდან ბევრმა მაშინ გაიგო, რა იყო ნამდვილი ვარჯიში, მათ შორის, ფეხბურთელებმა, მოკრივეებმა, მოცურავეებმა...

აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ რომის ოლიმპიადის ჩემპიონი საქართველო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის კათედრას ჩაუდგა სათავეში. მანამდე მთელი 25 წელიწადი სწავლობდა: ფიზკულტურის ინსტიტუტი, ასპირანტურა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, პარტიული სკოლა... ფიზკულტურის კათედრაზე მუშაობა, სპორტში მოღვაწეობასთან შედარებით, რუტინაა, მაგრამ რობერტ შავლაყაძემ მოახერხა ინსტიტუტის წლის საუკეთესო მასწავლებელი გამხდარიყო. მაშინდელმა რექტორმა ოთარ ნათიშვილმა ჰკითხა კიდევ, ეს როგორ მოახერხეო. თავის პედაგოგიურ მიდგომაზე რობერტ შავლაყაძეს არ უსაუბრია, მარტო ერთი დეტალი გაიხსენა: მე მწვევლი კაცი ვარ, მაგრამ ჩემს კაბინეტშიც არ ვენეოდი, ამისთვის ყოველთვის ეზოში გავდიოდი. აბა, ჩვენს კათედრაზე ვინმემ, ვინც გინდა იყოს, მოწვევა გაბედოსო.

ამ საკითხში ოლიმპიური ჩემპიონი შეუვალი იყო, მაგრამ, ცხადია, მუშაობაში მართო ეს არ იყო გადამწყვეტი, ამაში მხოლოდ მისი პრინციპი ვლინდებოდა. თუმცა სტუდენტის დატუქსვის შემდეგ ხშირად დაფიქრებულა და მიხვედრილა, რომ ზოგჯერ მთლად მართალი არ იყო. მაშინ უკან დახევასაც არ თაკილობდა, მოძებნიდა სტუდენტს და სწორედ ასე ეტყოდა: შვილო, შენ კი არა, მე არ ვიყავი მართალიო. ასე ყალიბდებოდა ურთიერთობა თუ ვითარება, რომელმაც ამ მკაცრი კათედრის გამგის კოლეგებს შორის პირველობა განაპირობა.

13 წელიწადი იმუშავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მომდევნო წლებს განსჯისთვის ერთი საზომი არ ეყოფა, ხან ავადმყოფობამ შეანუხა, ნორმალური სამუშაოც არ ჩანდა, სპორტის დიდმა ჩინოვნიკებმაც მესხიერებიდან ამოშალეს, მაგრამ რობერტი რის რობერტი იქნებოდა, ასე ადვილად რომ დანებებულიყო. ვარჯიშობდა კიდეც, საკუთარი კერძო საქმეც იშოვა, თუმცა სპორტისგან მაინც შორს იყო, მაგრამ კიდეც ერთი დუელი მოუგო ცხოვრებას — სპორტი თვითონ დაუბრუნდა მას, როცა 80-იანი წლების ბოლოს, მაშინ ჯერ კიდეც საბჭოეთი იყო, ენთუზიასტთა ჯგუფმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნაზე დაიწყო ზრუნვა. იქიდან მოყოლებული, ბატონი რობერტი ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრია...

გასული საუკუნის შუა წლებში დიდუბეში გაიზარდა ქართველი ბიჭი, რომელმაც ოლიმპიადების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საკვირველი ამბავი მოახდინა. ეს ისტორია ძველსა და ტკბილ, გონებაში ჩარჩენილ ზღაპარს ჰგავს, რომელიც, სამწუხაროდ, ალბათ, აღარასოდეს გამეორდება.

რობერტ შავლაყაძე

დაიბადა 1933 წლის 1 აპრილს თბილისში. მძლეოსანი, სიმაღლეზე მსტომელი. საუკეთესო შედეგი — 217 სმ. XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1960, რომი) — 216 სმ, XVIII ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1964, ტოკიო, IV-V ადგილი). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962), სსრკ ჩემპიონი (1964), სოციალისტური ქვეყნების თამაშებში შვიდგზის გამარჯვებული (1957-63), ძმები ზნამენსკების საერთაშორისო ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი (1958-62), „გიგანტთა მატჩში“ (აშშ-სსრკ) გამარჯვებული (1959), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე (1981-93), ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სოკის ორდენების კავალერი.



ROBERT SHAVLAKADZE

Athlete in high jump, was born on April 1, 1933 in Tbilisi. His best result in high jump is 217 cm. He was a champion of XVII Olympic Games (1960, Rome) with the result of 216 cm. Participant in the XVIII Olympic Games (Tokyo, 1964) where he won 4-5 place. Shavlakadze was a bronze medalist of the European championship (1962), champion of the USSR (1964) and seven-time winner of the games of socialist countries (1957-63). He was a five-time winner of the international tournament of the Znamenski brothers (1958-62) and winner of the "match of giants" (USSR vs. USA) in 1959. Shavlakadze was the Honored Master of Sports of the USSR, honorary professor and head of the department of physical training at the Georgian Agrarian University (1981-93). He was decorated with Vakhtang Gorgasali Order of 2nd class and IOC order.